საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალ-ხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 22 იანვარი. 2019 წ. №14 (8680) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ხელისუფლებაში არის ჯგუფი, რომელიც ქვეყანას ტოტალიტარული მმართველობის ჭაობში მიათრევს!

④

გვარამია იმდენს იზამს, კალაძეს ახლა „რუსთავს“ ააფეთქებინებს!..

②

პატრიარქმა 630 ჩვილი მონათლა

რიგით 57-ე საყოველთაო ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. პატრიარქის ნათლული ამჯერად 630 ჩვილი გახდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა და ნათლულები დალოცა. მათ ნათლობის მოწმობები და ჯვრები გადაეცათ.

დღეისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 38 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილები არიან. ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა კი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა. კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

დალია გრიბაუსკაიტემ მამუკა ბახტაძეს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერა დაუდასტურა

ლიეტუვა მომავალშიც განაგრძობს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, — ამის შესახებ ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

მხარეებმა საქართველოსა და ლიეტუვას ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი საკითხები, რეგიონში არსებული ვითარება და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები განიხილეს. ხაზი გაესვა ევროპელი პარტნიორებისა და მეგობრების, მათ შორის ლიეტუვას განსაკუთრებულ მხარდაჭერას ამ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში.

აღინიშნა, რომ საქართველო არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერი ქვეყანა და ევროკავშირის მიდგომა „მეტი მეტისთვის“ საქართველოსთან მიმართებაში ყველაზე უფრო რელევანტურია. ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა საქართველოში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები.

საუბრისას ყურადღება ასევე გამახვილდა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე გლობალური უსაფრთხოების გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დალია გრიბაუსკაიტემ მამუკა ბახტაძეს ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში უმასპინძლა.

ჟურნალისტებო, თქვენ შეგიძლიათ!..

③

SOS! ფალსიფიკაცია!

⑨

მეგობრები გვილოცავენ!

ასავალ დასავალი

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 17 იანვარი. 2019 წ. №11 (8677) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

100

„საქართველოს რესპუბლიკის“ მთელ კოლექტივს, ბრწყინვალე ჟურნალისტისა და რედაქტორის სპარტაკ ქობულიას ხელმძღვანელობით, გულითადად ვულოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს — გაზეთის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს!

საუკუნოვანი გაზეთის შემოქმედებით გუნდს მხნეობას, მახვილივით მოქნეულ კალამს და მკითხველთა სიმრავლეს ვუსურვებთ!

იხ. 6-7 გვ.

◎ წინიდანაც აირია, ბოლოდანაც აირია

გვარამია იმდენს იზამს, კალაძეს ახლა „რუსთავს“ აუფეთქებინებს!..

მეტისმეტი **რომ რეტისრეტია, ამას თითქმის ყოველდღე ადასტურებს „ცრუსთავი-2“. აქაოდა სიტყვის თავისუფლებას წინ ვერავინ ვერ აღუდგებაო, ბოროტ ცილისწამებას მართალ სიტყვად ასაღებს, და არც მეტი, არც ნაკლები, ავად შეაღონა მთელი საზოგადოება. და ცილისწამებასაც რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლების მიმართ აშკარად მტრული დამოკიდებულებით ძირს უთხრის სახელმწიფოს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხალხი დააბრმავოს და დააყრუოს, რათა 2020 წლამდე თუ ვერ აამბოხებს, იმ წლის არჩევნებში არა მარტო ხელისუფლებას ჩამოაცილებს „ოცნებას“, არამედ ისე ამოსვრის ტალახში, რომ, როგორც იტყვიან, ლიახვმაც ვერ ჩამორეცხოს...**

თუ ხელისუფლებიდან ვინმე ფიქრობს, რომ გიჟი მიუშვას ნებასა, რამეთუ თვით შეეყრება სნებასა, ძალიან ცდება. გვარამია სულაც არ არის გიჟი. ის ჰოლანდიიდან მართული არამზადა და ნაძირალაა, რომელიც მეთოდურად უწალდავს გზას ქრისტეს ფეხის მკვნეტელ ეშმაკს თავისნაირივე არამზადებთან და ნაძირალებთან ერთად.

შესავალი რომ არ გაგვიგრძელდეს, პირდაპირ აფეთქებაზე გადავიდეთ. აფეთქებას კი არა, ყოველ ჩვეულებრივ უწყინარ ნაპერწკალსაც კი იყენებენ „ცრუსთაველები“ „ოცნების“ გასანიორწყლებად, და რა, 16 იანვარს დიდ დიღომში მომხდარ აფეთქებას არ აქცევდნენ წყალბადის ბომბის აფეთქების თანაბარ უბედურებად! და არა იმიტომ, რომ ისინი ისევე შეძრა ამ საშინელმა ტრაგედიამ, როგორც მთელი საქართველო. არა, ბატონებო, ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ამ აფეთქებას ეგრევე, გამოუძიებლად და ცნობილი ნაციონალური პოლიტიკური ალღოთი წრიპაკა გვარამიამ თავის საჭურველთმტვირთველთან ეკუნია კვესიტაძესთან ერთად „მთავარ დამნაშავეს“ მიაგნო.

ახლა არ იკითხავთ, ვინ არის ეს მთავარი დამნაშავე? ვინ და, თვითონ თბილისის თავკაცი კახი კალაძე, რომელიც მერად არჩევის შემდეგ თურმე მხოლოდ ჩვენი დედაქალაქის აფეთქებებით არის დაკავებული და ცხადად კი არა, ფარულად, დივერსიულად მოქმედებს... ეს რომ მარტო გვარამიას და კვესიტაძის აზრად არ მიეღო მაყურებელს, „კვირის აქცენტის“ ვაიავტორებმა რამდენიმე შუმი ნაციონალიც გამოიყვანეს.

როგორ, კალაძის ასეთ „მხილებას“ დააკლდებოდა გადიდკაცებისთვის გაგიჟებული ელისაანთ ბიჭი ალეკო ანდა გაბაანთ კოტეს ბიჭი, თვალებგამდგარ გოკად წოდებული? შემაჯამებელი სიტყვა მაინც პოლიტიკურ ლამაზისეულს ირინოლას დაუტოვეს, სარიშვილს (დღემდე ვერ გამიგია, სადაური სარიშვილია?!).

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმას არა, რომ მარტო მეტისმეტის კი არა, უკვე აშკარად რეტისრეტის გზას დაადგებოდა ზღვარგადასულად გათავხედებული გვარამია, რომელიც, სხვისთვის წართმეული ტელევიზიის მიშიკუნასგან გენერალდირექტორებული, პირდაპირ სახელმწიფოს დაუპირისპირდებოდა, ხიხუა ვანუას ვითომ შოუთი იუმორის საბაბით დასცინებდა და მასხრად აგდებდა ყველა ხელისუფალს, სამშობლოს კეთილდღეობაზე ყველა მეოცნებეს! რა ჰქვია ამას? ვითომ თავისუფალი სიტყვა? თუ მტრობის თავისუფლება?!

უცნაური რამ არის ეს აირი, წინიდანაც აირია და ბოლოდანაც აირია. როგორც ჩანს, „ყაზტრანსგაზიც“ ამიტომ აირია. მაგრამ ერთი რამ კი ძალიან აფიქრებს საქართველოს ყველა პატიოსან მოქალაქეს: რატომ არ ამბობს სტრასბურგი „ცრუსთავი-2“-თან დაკავშირებით თავის საბოლოო სიტყვას — ან **ჰო**-ს, ან **არა**-ს.

და ისიც საკითხავია, ჩვენ ვითომ მართლა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ვართ?!

ისე, ჰოლანდია, სტრასბურგთან ახლოა, განა ეს ცოტა რამეს ნიშნავს? დასასრულ კი, გვარამია უნდა გავაფრთხილოთ: შე „სინდისგაუქმებულო დირექტორო“, იმდენს იზამ, მაგ შენი პირმოხეული ყბედობითა და ცილისმწამებლური ტრაკატრუკით, რომ კახი კალაძეს ერთ არამშვენიერ დღეს მაგ შენს ანტისახელმწიფოებრივ ციტადელსაც **აირ**ნაირით ააფეთქებინებ. ბარემ ყველა აფეთქებაზე ერთად აგებს პასუხს.

ასე რომ, ფრთხილად იყავით, იმ დიდი ფეთქების დროს შენს თანამებინძურეებთან ერთად — კვესიტაძესთან, მელაძესთან და თენგუნა გოგოტიშვილთან ერთად — შიგ არ მოჰყვეთ!

გურამ წიკლაური

ბათუმი ამერიკულ სამხედრო ხომალდს DONALD COOK-ს მასპინძლობს

ამერიკული **სამხედრო ხომალდი Donald Cook (33G 75) საქართველოს უკვე მეორედ ეწვია. Donald Cook-ის შემოსვლა შავ ზღვაში ხაზს უსვამს ამერიკის როლს ნატოს მოკავშირეებისა და პარტნიორების მიმართ. ბათუმში საპორტო ვიზიტი ემსახურება თანამშრომლობის გამყარებას, რაც ადასტურებს საქართველოსა და ამერიკას შორის არსებული ნაკისრი ვალდებულებებისადმი ერთგულებას და ხელს უწყობს რეგიონში უსაფრთხოებას.**

დახვედრის ცერემონიაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ისაუბრა ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე.

ხომალდი Donald Cook-ი მონაწილეობას მიიღებს უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საჩვენებელ ქმედებებში, რომელიც ემსახურება აშშ-ის ევროპული სარდლობისა და მეექვსე ფლოტის მიზნებს. Donald Cook-ის კაპიტანი მეთიუ პაუელია, რომლის ეკიპაჟშიც 306 მეზღვაური შედის. ხომალდის ვიზიტი ხელს შეუწყობს აშშ-ის რეგიონული პარტნიორების საზღვაო უსაფრთხოების, სტაბილურობის, მზადყოფნისა და საზღვაო-სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

ჩემი შემოსავლები არასდროს დამიმალავს

თბილისის მერმა კახა კალაძემ „იმედი LIVE“-ის პირდაპირ ეთერში უარყო კომპანია „ყაზტრანსგაზის“ მიმართ მისი ბიზნესინტერესების შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია და მას სპეკულაციები უწოდა.

„ეს არის ჩემი პატიოსნება. არაფერი მაქვს დასამალი. რაც გამიკეთებია და შემიქმნია, ყველაფერი დეკლარირებული მაქვს, ამას კანონი მავალდებულებს. თუ რამეს ვიყიდდი, არც ეს მაქვს დასამალი, რატომ დავმალავდი? მაქვს შესაძლებლობები და ღმერთმა მომცა იმის შანსი, რომ წლების განმავლობაში მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი ვყოფილიყავი. ასევე იმის ნიჭიც და ინტელექტიც მაქვს, როგორ მიმემართა ეს თანხები ჩემი სპორტული მოღვაწეობის დასრულების შემდეგ, რომ მეცხოვრა და ჩემს შვილებს პრობლემები არ ჰქონდეთ. სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია, რაც შემიძლია ყველას ვეხმარები და ხელს ვუწყობ.

მეორე, რაც ამ ადამიანებთან უპირატესობას მანიჭებს ის არის, რომ როდესაც შეკითხვა ისმევა, გამოვდივარ და მას პასუხს ვცემ. რატომ უნდა დავიმალო, როდესაც თეთრზე ამბობენ შავს. და ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რომელიც მათთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ეს არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის განწყობა და დამოკიდებულება ჩემ მიმართ. სიყვარული, რომელსაც მე ძალიან ვაფასებ. ეს არის ურთიერთობა, რომელსაც მე წლების განმავლობაში ვაშენებ და ვუფრთხილდები როგორც საკუთარ ოჯახს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

კახა კალაძის თქმით, რაც ქვეყანში კარგი კეთდებოდა, ის ამით ამაყობდა, თუმცა ასევე საუბრობდა ისეთ საკითხებზე, რაც მაშინდელ ხელისუფლებას არ სიამოვნებდა.

გუდაურში „კვირიკაშვილის პროექტი“ არ განხორციელდება

გუდაურში, საბაგიროს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილზე 360-გრადუსიანი ხედის საკონფერენციო ცენტრის აშენების ინიციატივა ყოფილ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნოდა.

ამ ინიციატივით ის 2017 წელს, ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე გამოვიდა და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის სამინისტროებს შესაბამისი ადგილის შერჩევა დაავალა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში bm.ge-ის განუცხადეს, რომ უწყებას აღნიშნული პროექტისთვის მიწა გუდაურში არ შეურჩევია და მსგავს პროექტზე მუშაობა არ მიმდინარეობს.

რაც შეეხება ეკონომიკის სამინისტროს პოზიციას, გიორგი ქობულიას უწყებაში სააგენტოს განუცხადეს, რომ გიორგი კვირიკაშვილის მიერ პროექტის დაანონსების შემდეგ გუდაურში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით დაინტერესება ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ გამოთქვა, თუმცა კურორტზე ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, მსგავსი ინიციატივა რეალობაში აღარ განხორციელებულა.

უწყებაში აცხადებენ, რომ ყოფილი პრემიერის დაანონსებული საკონფერენციო ცენტრის მშენებლობის პროექტი შემდგომ ვერც მთავრობის სამოქმედო გეგმაში მოხვდა, რის გამოც გუდაურში საკონფერენციო სივრცის მოწყობა აქტუალური აღარ არის.

შეგახსენებთ, ყოფილი პრემიერის ინიციატივით, საკონფერენციო ცენტრი ევროპული ანალოგების მაგალითზე, გუდაურში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წერტილზე უნდა აშენებულიყო, სადამდეც საბაგირო მივიდოდა.

მაშინ გიორგი კვირიკაშვილი, პროექტით კერძო სექტორის დაინტერესების შემთხვევაში, საინვესტიციო პარტნიორობის თაობაზე წინადადებების განხილვის შესაძლებლობასაც უშვებდა.

BM.GE

ჟურნალისტებო, თქვენ შეგიძლიათ!..

როგორც აქტიურ ტელემაყურებელს და ქართული ბეჭდვითი პრესის აქტიურ მკითხველს, უფლება მაქვს, ჩვენი მედიისგან, ჩვენი ჟურნალისტებისგან მოვითხოვო პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც მაწუხებს და რომლებიც, სამწუხაროდ, დღემდე არავის დაუსვამს.

ვიდრე კითხვებს და მათ ადრესატებს გაგაცნობდეთ, ვისთან „შუამავლობასაც“ მოვითხოვ თქვენგან, ჩემო ჟურნალისტებო, მცირე შესავალს გავაკეთებდი: დემოკრატიულ სახელმწიფოებში „მეოთხე ხელისუფლება“ სამართლიანობის მთავარი საყრდენია. ამ როლის წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია თემების და განსაკუთრებით — პრობლემების ყოველმხრივი და სიღრმისეული განხილვა. სკანდალებით გატაცება „ყვითელი“ საქმეა, რაც მედიას სახელმწიფო

ინტერესზე მზრუნველის (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პასუხისმგებლობას აკარგვინებს და ამის გამო პოლიტიკა რჩება ხეიბარი.

ახლა, რაც შეეხება კითხვებს... ვუბრუნდები ე.წ. მოსამართლეთა სიასთან დაკავშირებულ მოვლენეთა განვითარებას **(იხ. Reportiori.ge 14.01.2019 — „სადომაზოხისტური მედია და სახელმწიფო ინტერესი“)**. ჩემი კითხვების ძირითადი ადრესატები არიან როგორც პოლიტიკური, ისე (ვითომ) არაპოლიტიკური წრეების წარმომადგენელი, ღაწვებზე მირონმდინარი, სასამართლოს ბედით „შეშფოთებულ-აღშფოთებული“ პერსონები და ჯგუფები (ირონია იმის ნიშანია, რომ ჩემში და არა მარტო ჩემში, ამ ეკლექტურ ერთობაში მოხვედრილთა გულწრფელობა „სამართლიანობისთვის ბრძოლაში“ დიდი ხანია, ეჭვებს იწვევს).

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, კითხვები ემსახურება საქმის სიღრმეებში წვდომისა და პრობლემის მოგვარების ინტერესს. მაშ, ასე...

— გთხოვთ, შეაფასოთ, ქართული სასამართლოს საქმიანობა 2012-2018 წლებში;

— გთხოვთ, შეაფასოთ, მოსამართლეთა ათკაციანი სიისა და იუსტიციის საბჭოს თითოეული წევრის საქმიანობა 2012-2018 წლებში;

— გთხოვთ, წარმოადგინოთ, სასამართლო სისტემის 2012 წლამდე და 2012 წლის შემდგომი პერიოდების საქმიანობის შედარებითი ანალიზი;

— გთხოვთ, შეაფასოთ, საქართველოს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების საქმიანობა სასამართლო რეფორმის მიმართულებით;

— გთხოვთ, სასამართლო სისტემის რეფორმის მიმართულებით, წარმოადგინოთ თქვენი ხედვები სამგანზომილებიან ჭრილში — სად ვიყავით, სად ვართ, სად გვინდა, რომ მივიდეთ;

— გთხოვთ, გვიპასუხოთ, იმ სუბიექტის დანაშაული უფრო მძიმეა, ვინც ძმნიდა უსამართლო კანონებს, იღებდა უკანონო და უსამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე გასცემდა უკანონო ბრძანებებს, თუ იმ სუბიექტის, ვინც ამ ბრძანებებს აღასრულებდა, ხშირად კანონზე (უსამართლო კანონზე) დაყრდნობით? - ამ კითხვის დასმისას არ დაგვავიწყდეს, რომ ბრძანებას, როგორც წესი, თან ახლდა მძიმე შინაარსის (მაგალითად, ოჯახის განადგურების) ღია ან ფარული მუქარა;

ბოლო შეკითხვა არსით რიტორიკულია, ამიტომ მოითხოვს თანმხლებ შეკითხვას:

— რამდენად მორალურია, ითხოვდე მოსამართლეთა მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გატარებას, ძველი რეჟიმის პირობებში მათი საქმიანობის გამო, როცა რეჟიმის „შემოქმედები“ უფრო მაღალი სახელისუფლო პოზიციებიდან აგრძელებენ „მოღვაწეობას“ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას?

— რატომ არ მოითხოვთ (პირველ რიგში), მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული რეჟიმის მთავარი „შემოქმედისთვის“, პარტია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და მისი განაყოფ-დანაყოფებისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვას? ხომ უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები, როცა „წინა ეპოქის“ მოსამართლეების ყველაფრისგან გარიყვისთვის ვიბრძვით? სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით პრიორიტეტების ამგვარი განსაზღვრა განა უფრო სამართლიანი (და უფრო ლოგიკური) არ იქნება?

— (შეკითხვა „სამართლიანობისთვის მებრძოლთა“ იმ წარმომადგენლებს, „ქვეყნის გადასარჩენად“ ფრაქცია „ევროპური საქართველოს“ წევრებთან რომ მართავენ კონსულტაციებს) — რამდენად მორალურად მიგაჩნიათ „საქმიანი საუბრები“ ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრებთან ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე? რა განსხვავებაა ძალადობრივ რეჟიმზე ამ პარტიისა და მათი „დედა ორგანიზაციის“, „ნაცმოძრაობის“ პასუხისმგებლობებს შორის? მიზანი ამართლებს საშუალებებს?.. ორი მაგალითი შეხსენებისთვის — **გიგა ბოკერია იყო ბოლშევიკურ-ფაშისტური ცხრაწლეულის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, ანუ „სულიერი მამა“ და „სახე“, ხოლო სრულიად უსახური ოთარ კახიძე — მაშინდელი მოსამართლეთა კორპუსის ცივსისხლიანი მმართველის ზურაბ ადეიშვილის მოადგილე, ერთგული „თანამოაზრე“ და თანამზრახველი**.

ამ ძირითადი კითხვების გარდა, არსებობს სხვა კითხვებიც, დეტალებთან დაკავშირებით, მაგრამ ამაზე შემდგომ. მთავარი ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო რესპონდენტები ან საღად დაინახავენ ობიექტურ რეალობას, რაც ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებში პირდაპირ თუ ირიბად იკითხება და უფრო სიღრმისეულად, სახელმწიფო ინტერესის ჭრილში გააანალიზებენ არსებულ ვითარებას, ან იქნებიან მხილებული კერძო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებებში.

ჟურნალისტებო, თქვენ შეგიძლიათ, ფაქტებსა და მოვლენებს ობიექტურად და სამართლიანად დაარქვათ თავისი ნამდვილი სახელები.

ბიძინა დვალი
19.01.2019



მომავალ თბილისობას შევხვდეთ დავით აღმაშენებელთან ერთად!

გამოხმაურება თბილისის საპატიო მოქალაქეების ღია წერილზე

ქალაქ თბილისის მერი, ბატონი კახი კალაძე, თავის წინასაარჩევნო ბუკლეტში „სიცოცხლით სავსე ქალაქი“ ქალაქ თბილისზე წერდა: „ეს არის ჩვენი სახლი, ჩვენი სამშობლო და ამიტომ, თუ რამე არ მოგვწონს, ჩვენ უნდა შევცვალოთ, ქალაქი ისეთია, როგორებიც ჩვენ ვართ, თუ რამე ფუჭდება, ჩვენ ვაფუჭებთ, თუ რამე კეთდება, ჩვენ ვაკეთებთ“.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, მსგავსი რამ მე წინამორბედი მერების დაპირებებიდან არ მახსენდება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ პოზიციაზე მყოფი მომავალი ქალაქის მერი უკვე გაცნობილი იყო ქართულ ძეგლებთან ბრძოლის იმ ეპოპეას, რომელიც ავტორიტარიზმის წლებში ხორციელდებოდა.

ამ სამარცხვინო ვანდალური ქმედების ეპიცენტრი ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის „გამარჯვების მემორიალის“ აფეთქება იყო, რომელსაც მოჰყვა ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა ლენინის ძეგლის ადგილზე, ზესტაფონში გამარჯვების მემორიალის „დაჭრილი არწივის“ აღება, სიღნაღში „ამირანის“ ძეგლის ნაწილებად დაჭრა-განადგურება და მრავალი სხვა...

თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანამ დიღმის ტრასაზე, აქტიური სატრანსპორტო კვანძის ზონაში, თითქმის გაანადგურა მერაბ ბერძენიშვილის ეს შედევრი.

ზღვარს გადასული ცინიზმია ის, რომ ეს მერაბ ბერძენიშვილის სიცოცხლეში მოხდა და ავტორს ეს ტკივილი საფლავში თან ჩაჰყვა.

თბილისი გამოირჩევა თავისი მონუმენტური ქანდაკებებით, რომლებიც ქართველი არქიტექტორებისა და მოქანდაკეების უდიდესი სიფაქიზით, პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით ორგანულად არიან ჩაწერილი ქალაქის ატმოსფეროში — მარტო ვახტანგ გორგასალი, ვეფხი და მოყმე, მუზა, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბაგრატიონი, ფიროსმანი, მემედ აბაშიძე და მრავალი სხვა, საუკეთესო მაგალითებია ურბანული გარემოსა და ქანდაკების კონტექსტისა.

ქართველთა უდიდესი მეფის ძეგლის დღევანდელი ადგილმდებარეობა — ძეგლის განთავსების დღემდე მსოფლიოში არსებულ ყველა კანონს არღვევს და სამარცხვინოა. განსაკუთრებით შეურაცხყოფილად თავს ქართველი არქიტექტორები ვგრძნობთ, რადგანაც ამ ძეგლის ასეთი ნაუცბათევი და თვითნებური თავდაჯერებით ადგილმონაცვლეობა შებღალვაა პროფესიული ღირსების.

ბატონო კახა, ღრმად ვარ დარწმუნებული, ქართველი საზოგადოების ამ მრავალჯერ გაცხადებულ თხოვნას თქვენ გულისყურით მოეკიდებით, აღასრულებთ სამართლიანობას და დავით აღმაშენებლის ძეგლი აღიმართება იქ, სადაც უნდოდა დიდ ქართველ მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს.

სამართლიანია, თბილისის საპატიო მოქალაქეების — ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების მოწოდება — **„მომავალ თბილისობას შევხვდეთ დავით აღმაშენებლთან ერთად“**. ეს აღსრულებადია.

მადლობა „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც იყო და არის დიდი ეროვნული საქმეების მხარდამჭერი.

არქიტექტორი
თამაზ დოგრაშვილი

ხელისუფლების გასაგონად

ერთ ადგილზე დიდხანს მყოფი არ შეიძლება უცოდველი დარჩეს!

სამართლიანობის ლოზუნგით მოსულმა ხელისუფლებამ უნდა გაამართლოს ასობით დაზარალებული ადამიანის მოლოდინი, იმედი სამართლიანობის აღდგენისა და არ დაუშვას იუსტიციის საბჭოს მიერ წარმოდგენილი საყოველთაოდ ცნობილ არაკეთილსინდისიერ მოსამართლეთა სია, რაც არაფერია, თუ არა ე. წ. კოჰაბიტაციის მახინჯი გამოძახილი.

დიდებული ქართული სიტყვა „მართლმსაჯულება“ უპირველესად გულისხმობს სამართლიანობის დადგენას. იმას, რომ აუცილებელი კრიტერიუმები მოსამართლეთა არჩევისა, უკლებლივ უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე...

და ერთიც: რამდენად გამართლებულია მოსამართლეთა უვადო გამწესება? ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჰაიზენბერგის პლანკისადმი გამოთქმული აზრი: „ერთ ადგილზე დიდხანს მყოფი არ შეიძლება უცოდველი დარჩეს“. ხელისუფალნო, შეისმინეთ საზოგადოების მოლოდინი, გონს მოეგეთ!!!

ლონდა მდივანი

ხელისუფლებაში არის ჯგუფი, რომელიც ქვეყანას ტოტალიტარული მმართველობის ჭაობში მიათრევს!

ტერმინი კანონი (არაბ. القانون ალ-კანუუნ) **სპარსულიდან ან არაბულიდან უნდა დამკვიდრებულიყო და ნიშნავს ზუსტად იგივეს, რასაც ქართულ ენაში — უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ქცევის წესები და მისი დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციები. აქედანვეა ტერმინი** قانوني **(კანონიი) — კანონიერება, რომელიც არაბულ ენაში, ჩვეულებრივ, სამართლიანობის აღსანიშნავადაც გამოიყენება.**

მშობლიურ ქართულ ენაში გვაქვს კიდევ ერთი სპარსულ-არაბული წარმოშობის მომხიბლავი და მრავლისმეტყველი ტერმინი ნამუსი — სინდისი, პატიოსნება, შინაგანი რწმენის კარნახით მოქმედება. ხოლო ნამუსზე მწყრალად მყოფთა აღსანიშნავად ფართო არჩევანის არსებობა (უნამუსო, ნამუსგარეცხილი, ნამუსგატეხილი, ნამუსწართმეული, ნამუსდამხობილი, მრუში, როსკიპი, მეძავი, აშაღლარი, ბოზი, გახრწნილი, გარყვნილი, ბეზირგანი...) კი ისტორიულად ასეთი ადამიანების მრავალრიცხოვნობასა და უნამუსობის უკიდეგანობაზე მიგვანიშნებს.

გუნდი

ბოლო სამი თვის განმავლობაში ვითარება „ქართული ოცნების“ ელიტაში უკიდურესად დაიძაბა. თანამდებობიდან გადადგა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და მმართველი პარტიის ერთ-ერთი კოლორიტული „სახე“ ეკა ბესელია. დაიწყო საუბარი „ბესელიას გუნდის“ პარტიიდან გასვლისა (თუ გარიცხვის!) და დამოუკიდებელი საპარლამენტო ფრაქციის შექმნაზე. სავარაუდოდ, არსებობს სხვა მიზეზებიც, მაგრამ ამ შიდა გუნდური დაპირისპირების მთავარ მიზეზად დასახელდა შეუთანხმებლობა მოსამართლეთა უვადოდ განმწესების პროცედურასა და თვით „მარადიულ მოსამართლეთა“ კანდიდატურების თაობაზე. როგორც „ბესელიას გუნდის“, ისე საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის უმძაფრესი კრიტიკის საბაბად იქცა უვადო მოსამართლეებად განმწესება იმ პირებისა (ჩინჩალაძე, მურუსიძე, გვრიტიშვილი, მიქაუტაძე...), რომლებიც წინა ხელისუფლების მითითებების უსიტყვო აღმსრულებლებად ითვლებოდნენ. არანაკლები კრიტიკისა და შეუთანხმებლობის მიზეზად იქცა მთლიანად თანამედროვე ქართულ სასამართლო სისტემაში სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენელთა შენარჩუნება.

მმართველი პარტიის თავმჯდომარის **ბიძინა ივანიშვილის** განმარტებით, „ქართული ოცნების“ გუნდში არის შეუთანხმებლობა. ბესელიას გათავისუფლება პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან და მისი პარლამენტის ვიცე-სპიკერად დაწინაურება ჯერ კიდევ ზაფხულში იყო გადაწყვეტილი და არ უკავშირდებოდა სასამართლო სისტემაში შექმნილ ვითარებას. ხოლო ვინაიდან იგი დღეს არ ეთანხმება „ოცნების“ უმრავლესობის აზრს მოსამართლეთა უვადოდ განმწესების საკითხში და ამით უხეშად არღვევს გუნდური მოქმედების პრინციპს, მისი ვიცე-სპიკერობა გამოირიცხა.

ჩვეულებრივ, „პოლიტიკური გუნდი“ არის ადამიანთა საერთო მრწამსით და საერთო მიზნებით გაერთიანებული ჯგუფი. ვინაიდან მიზნისკენ მიმავალი უსასრულოდ ბევრი გზა და ბილიკია, „გუნდში“ განსხვავებული აზროვნებისა და მიდგომების მქონე პერსონების ყოფნა აუცილებელია. მოკლედ, თუ გუნდში უკვე არის ნიკა მელია, იქ კობა ხაბაზის ან თინა ბოკუჩავას ყოფნა არაფრის მომცემია.

მართალია, ბატონ ივანიშვილს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ბიზნესში მისი ფანტასტიკური მიღწევებიდან გამომდინარე, უბრალოდ, შეუძლებელია, მან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების ფასი არ იცოდეს. მისნაირი უნიკალური გამოცდილების კაცმა ისიც უეჭველად იცის, რომ ნებისმიერი უკეთილშობილესი მიზნების მძლე პოლიტიკური გუნდის ერთაზროვნება არის გიგანტური ნაბიჯი მმართველობის იმ სისტემისკენ, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ მიიყვანა პოლიტიკაში თვითონ ბიძინა ივანიშვილი — ტოტალიტარიზმი.

განხეთქილების ძვალი

აწ უკვე მარადიულ მოსამართლედ აღზევებული ლევან მურუსიძის განცხადებით, თურმე მის წინააღმდეგ უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს პოლიტიკურად მოტივირებული და მძლავრად ორგანიზებული ცილისმწამებლური კამპანია, რომელმაც კულმინაციას თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მისი უვადოდ განმწესების დღეებში მიაღწია. ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია კვალიფიციური ოპონირების საშუალება, რათა საკადრისი პასუხი გაეცა ცილისმწამებლებისათვის. მისი აზრით, ამ აშკარა ანტიმურუსიძისტული კამპანიის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ყოფილა გირგვლიანის საქმეზე და, ზოგადად, კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე უშუალოდ პასუხისმგებელი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც თავის დროზე საკანონმდებლო მარწუხებში მოაქცია სასამართლო ხელისუფლება. ამით „ნაცმოძრაობა“ თავისი პასუხისმგებლობის ჩემზე გადმოკისრებას ცდილობსო, ბრძანებს ბატონი მურუსიძე.

იგი არ აპირებს ამ უსამართლო დამღით ცხოვრების გაგრძელებას და რამედ არც მოსამართლის მანტია უღირს, რადგან ქართული სასამართლო სისტემის პროცესს საფუძვლად, თურმე, სწორედ მისი და მისი თანამოაზრეების პრინციპული პოზიცია უდევს. მან, თურმე, „საჯაროდ მიმართა არასამთავრობო გაერთიანებებს, მოეხდინათ მისი პერსონალური ბრალეულობის ფორმულირება გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით და თუ ეს ბრალდება დადასტურდებოდა, განიხილავდა გადადგომის საკითხს“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის განმხილველი მოსამართლე ამბობს, ჩემი ბრალეულობა თუ დადასტურდა, თანამდებობიდან კი არ გადავდგები, გადადგომის საკითხს განვიხილავო! ანუ მოსამართლე მურუსიძე ამაყად გვამცნობს, მართალია, სინდისი არ გამაჩნია, მაგრამ იგი არც მომეთხოვება, რადგან მტყუან-მართლის გარჩევისას მოსამართლე კანონის მეძანიკური აღმსრულებელი უნდა იყოს და შინაგანი რწმენა, პატიოსნება და სამართლიანობა ფეხებზე უნდა ეკიდოსო!

კიდევ უფრო მრავლისმეტყველია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის **გიორგი მიქაუტაძის** განცხადება. მისი აზრით, მურუსიძე იცავდა მაშინ მოქმედ კანონმდებლობას (შეგახსენებთ, რომ საუბარი ეხება სპეციალურად სანდრო გირგვლიანის მკვლელებისთვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით, პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს). ხოლო ვინაიდან კანონის დაცვა არის სამართლიანობის გამოხატულება, მოსამართლე მურუსიძის გადაწყვეტილებები იყო სამართლიანი.

ძალიან საეჭვოა, რომ იურისტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი კანონიერებას და სამართლიანობას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებდეს. არ იცოდეს, რომ კანონმდებლობით, მოსამართლეს შინაგანი რწმენით, ანუ სინდისის კარნახით მოქმედების უფლებაც აქვს. ბოლოს და ბოლოს, საქმის განხილვაზე უარის თქმა და მოსამართლის პოსტიდან გადადგომაც შეუძლია... არ ახსოვდეს, რომ 2003 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში აღზევებისას, სასამართლო რეფორმა უკვე დამთავრებულია, სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან გათავისუფლებულია; რომ მისი პროკურატურის მარწუხებში მოქცევა სწორედ სააკაშვილისა და ჩინჩალაძე-მურუსიძისნაირი ყოვლად უპრინციპო მოსამართლეების დამსახურებაა... არა, მან ყველაფერი ეს იცის და ყველაფერი ახსოვს, მაგრამ ჩვენ, მისი თანამოქალაქეები ვგონივართ მიამიტები.

მეორე მხრივ, მიქაუტაძისა და მისი ძლევამოსილი „გუნდის“ მიერ აღიარებული ფილოსოფიური „კანონიერება-სამართლიანობის“ იგივეობა ძალიან საშიში მოვლენაა დემოკრატიზმისა და, ზოგადად, ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, ვინაიდან ამით შესაძლებელია ნებისმიერი ხელისუფლების ნებისმიერი დანაშაულის გამართლება: „წმინდა ინკვიზიციისაც“, 1793 წლის ფრანგული რევოლუციისაც, საბჭოთა 30-ანი წლების სისხლიანი „წმენდებისაც“ და, რაც მთავარია, სააკაშვილის ხელისუფლების ამაზრზენი დანაშაულებრივი ქმედებებისაც. **თუ საღი საზოგადოებრივი აზრი ვერ გაიმარჯვებს, ქართული მართლმსაჯულება ისევ სააკაშვილ-მერაბიშვილის კლანის ხელში დარჩება, ხოლო იმ ცხრაწლიანი ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენა და ქართული დემოკრატიზმის უფსკრულში გადაჩეხვა, უბრალოდ, დროის საკითხად იქცევა.**

ერთი მრავლისმეტყველი ფაქტიც — თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მარადიულ მოსამართლედ განმწესებამდე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ლევან მურუსიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმი 95 პროცენტით შეაფასა! იგულისხმება, რომ თვით შემფასებლების კეთილსინდისიერების კრიტერიუმი ზეციური ძალების მიერ (სააკაშვილის თავმჯდომარეობით) 100 პროცენტით არის შეფასებული!

დიდი წვრილმანი

და მაინც, რატომ არ შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის მონა-მოსამართლეების მარადიულ მოსამართლეებად განმწესება კი არა, საერთოდ, სასამართლო ხელისუფლებაში დატოვება?

მოდი, ათასიდან ერთი, „რიგითი“ გახმაურებული საქმე გავიხსენოთ.

2005 წელს დააპატიმრეს უზენაესი სასამართლოს დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი, ღვაწლმოსილი კაცი მერაბ ახობაძე. მართალია, თავიდან მისთვის მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი ბრალდების წარდგენა ვერ მოხერხდა (ქართული სასამართლო რეფორმის მატერიალურ მხარეს საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფდნენ, ფინანსების ხარჯვასაც თვითონ აკონტროლებდნენ და დეპარტამენტის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნდათ), მაგრამ საბოლოოდ მრავალი წლის შრომით დაგროვილი ქონება დაუყადაღეს, სახელმწიფოს სასარგებლოდ დაახლოებით 53 000 ლარის გადახდა და ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს!

საღი გონებისთვის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლომ „ბიუჯეტიდან დაუსაბუთებლად გაცემულ სახსრებად“ (53 000 ლარი) მიიჩნია დეპარტამენტის მიერ მოსამართლეებისთვის პრეზიდენტის, იუსტიციის საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს დადგენილებებით გათვალისწინებული ბინის ქირავნობისთვის გადახდილი თანხა! ანუ გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა, თანხა გამოჰყო ფინანსთა სამინისტრომ და აღასრულა დეპარტამენტმა, რომელსაც აღსრულებაზე უარის თქმის უფლება, უბრალოდ, არ ჰქონდა. ძნელია, ამას სახელი დაერქვას: პრეზიდენტისა და იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების გამო გაასამართლეს და 6 წლით ციხეში გაისტუმრეს პროფესორი მერაბ ახობაძე! განაჩენს ხელი მოაწერეს სწორედ იმ მოსამართლეებმა, ვისაც ახობაძის დეპარტამენტი ბინის ქირას უხდიდა! საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი მოწმე, არავითარი მინიშნებაც კი ახობაძის გადაცდომაზე!

გთხოვთ, მენდოთ — მე ძალიან კარგად ვიცნობ „ახობაძის საქმეს“. სამწუხაროდ — ბევრ სხვასაც.

ლევან მურუსიძემ ყველაფერი ეს შესანიშნავად იცის. იგი თვითონ მონაწილეობდა „ახობაძის საქმეში“ — თავიდან, როგორც სასამართლოს მდივანი, მერე, როგორც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ახობაძის აპელაცია პრინციპულად არ განიხილა.

მურუსიძემ და ჩინჩალაძემ შესანიშნავად იციან, ვინ და რატომ ჩამოაშორა სასამართლო სისტემას მოსამართლე ნათია წკეპლაძე, ვინც 2006 წელს განსასჯელისთვის ყოვლად უაზრო ბრალდებების მოხსნა გაბედა.

აგერ უკვე ათი წელიწადია, უსამართლოდ დასჯილი და უკიდურესად შეურაცხყოფილი პროფესორი ახობაძე ქართული სასამართლოსგან დაჟინებით ითხოვს სამართლიანობის ნაწილობრივ მაინც აღდგენას - უკანონოდ გადახდილი თანხის დაბრუნებას.

ამაოდ ითხოვს!!!

„95-პროცენტიანი რეიტინგის“ მქონე მოსამართლეების იმედად სამართლიანობის აღდგენაზე, სამართლიანი სასამართლოს აღორძინებაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. მიზეზი უბრალოა — ასეთ შემთხვევაში, უამრავი ბნელი საქმის გამომზეურება და მათი სამოსამართლეო კარიერის კრახი გარდაუვალია.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — სააკაშვილის რეჟიმის მონა-მოსამართლეების სასამართლო ხელისუფლებაში ყოფნა მომაკვდინებელი საფრთხეა დემოკრატიზმისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

მურუსიძე-ჩინჩალაძე-ცერცვაძე-მიქაუტაძის „მოსამართლეთა გუნდის“ პარლამენტისთვის შეჩეჩების მცდელობა და ამ საკითხზე საყოველთაო დებატების აუცილებლობა მძიმე ფიძრებს აღძრავს — ხელისუფლებაში არის ჯგუფი, რომელიც ქვეყანას ტოტალიტარული მმართველობის ჭაობში ითრევს(!?)

ეტყობა, მმართველ პარტიაში ვერ ხედავენ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გასამარჯვებლად სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლა აუცილებლად მოიტანს სასურველის საწინააღმდეგო შედეგს — „ქართული ოცნების“ ისედაც შერყეული ავტორიტეტის გაცამტვერებას და ხელისუფლებაში ფსევდო-პატრიოტებისა და რევანშისტების აღზევებას. „გუნდის“ ლიდერს კი არ ჰყავს საღად მოაზროვნე, გაბედული და წრფელი გულშემატკივარი, ვინც ამ უბრალო ჭეშმარიტებას დაუსაბუთებდა.



მეც ვერ დავიჩემებ, ვიტყოდი თუ არა ყველაფერ ამას, ბატონი ივანიშვილის „გუნდის“ წევრი რომ ვიყო.

თეიმურაზ ქორიძე

როცა სეზამის კარი იღება

აგერ უკვე რამდენი წელიწადია, რაც ჩვენს ბიბლიოთეკებს ძვირფას თვალმარგალიტებად ემატება ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის მიერ გამოცემული ქართული პროზისა და პოეზიის მინიატიურული წიგნები.

მართალია, ამ სერიაში ადრევე პოვა ადგილი გალაკტიონის შედევრებმა, მაგრამ ამჯერად იგი ხელახლა მიუბრუნდა გენიალურ პოეტს და ახლა უკვე მისი ორენოვანი კრებული შემოგვთავაზა. მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, დედნის გვერდით გაეცნოს ინესა მერაბიშვილის ინგლისურ თარგმანს, რომელსაც კარგა ხანია, მაღალი რეპუტაცია აქვს მოპოვებული თვით ბრიტანულ აკადემიურ წრეებში.

ინესა მერაბიშვილის გალაკტიონის თარგმანები ორჯერ გამოიცა ლონდონში, 2011 და 2017 წელს. სწორედ მეორე კრებული, რომელსაც ჰქვია Discover Galaktion-აღმოაჩინეთ გალაკტიონი (გამომცემლობა Critical, Cultural and Communication Press, 2017) დაედო საფუძვლად მწიგნობართა ასოციაციის მიერ მომზადებულ წიგნს. თუმცა, უკვე არსებულს დაემატა გალაკტიონის კიდევ ერთი ლექსი: „დაიმახსოვრეთ, სულით მონებო!“. ასევე მთარგმნელის ინგლისურ წინასიტყვაობასა და გალაკტიონის პოეზიის ლინგვო-სტილისტურ ანალიზს აქ დაერთო ვრცელი შესაბამისი ქართული ტექსტი (100 გვერდის მოცულობით), სადაც განმარტებულია გალაკტიონის არაერთი სიმბოლო თუ შესიტყვება და განსაზღვრულია მისი ადგილი XX საუკუნის მსოფლიო კულტურასა და პოეზიაში. მთლიანად წიგნი 430 გვერდისგან შედგება და მასში გამოყენებულია საქართველოს სახალხო მხატვრის ლევან ცუცქირიძის ილუსტრაციები გალაკტიონის პოეზიის თემებზე. წიგნის მთავარი რედაქტორია ლია ნადარეიშვილი, ყდის დიზაინი კი გიორგი წერეთელს ეკუთვნის.

გამომცემლობამ უპირველესად გაითვალისწინა პროფესიონალების შეფასებები, რომელიც ინესა მერაბიშვილის ნათარგმნ გალაკტიონს მოჰყვა, თავის მხრივ კი ამოცანად დაისახა უფრო მეტი უცხოენოვანი მკითხველი დაუახლოვოს და აზიაროს ლამის „უთარგმნელად“ შერაცხილ პოეტს. უდავოა, რომ მანამდე არსებულ გალაკტიონის ინგლისურ თარგმანებს შორის ინესა მერაბიშვილი ყველაზე მეტად მიუახლოვდა ორიგინალების სუნთქვას და ეს თავისუფლება ასე იოლად არ მოსულა. იგი წლების განმავლობაში ემზადებოდა გალაკტიონთან შესახვედრად. ამას წინ უძღოდა მისი, როგორც ენათმეცნიერის ნაყოფიერი კვლევები ლინგვისტიკაში. ინესა მერაბიშვილმა შექმნა თარგმანის ლინგვისტური თეორია, რომელიც ცალკე შრომებად და წიგნებად არის გამოცემული და საერთაშორისო მთარგმნელობითი პრაქტიკის საგულისხმო მონაპოვრად არის აღიარებული.

იგი ხანგრძლივი დაკვირვებისა და ანალიზის გზით ეზიარა გალაკტიონის გამოუცნობ მეტაფორებში შეღწევის საიდუმლოს. მხოლოდ პოეტის ლექსიკური ენიგმების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გადაიხსნა მისთვის სეზამის კარი და სწორედ ამის მადლია, რომ დღეს გაგვაჩნია გალაკტიონის ათობით შედევრის უბრწყინვალესი თარგმანი და კიდევ მრავალი მათგანი ელის თავის ჯერს...

ინგლისური გამომცემლობის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ბერნარდ მაკბარკიმ** საუკეთესოდ გამოხატა თავისი აზრი მათთვის გალაკტიონის ასი წლის შემდეგ აღმოჩენაზე, ასევე საკადრისი პატივი მიაგო ინესა მერაბიშვილის უებრო მთარგმნელობით ხელოვნებას: „დიდი პატივია, რომ გალაკტიონი ბრიტანეთში პირველად ჩვენ დავბეჭდეთ. ვიმედოვნებ უამრავი მკითხველი დაინტერესდება ამ განსაცვიფრებელი პოეტით, რომელიც საუკუნის დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე და მხოლოდ ახლა ხდება მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი. გალაკტიონის პოეზია ვარსკვლავებით მოჭედილი გალაკტიკაა, ხოლო მთარგმნელი ის ხომალდია, რომელიც ამ ვარსკვლავებისკენ გაიჭრა და სწვდება მათ“.

ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორის **რიჩარდ ა. კარდველის** შეფასებით, გალაკტიონი ინგლისურად „არის მთარგმნელის ჭეშმარიტი გამარჯვება, მან წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, ხოლო დედნისეული ტექსტების რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ თარგმანებში მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას, ეს ინესა მერაბიშვილის, როგორც მთარგმნელის დიდი ნიჭიერებისა და ოსტატობის მაჩვენებელია“.

სწორედ ასეთი რანგის თარგმანებით უნდა ვაცნობდეთ და პოპულარიზაციას ვუწევდეთ უცხოელ მკითხველში ჩვენს პირველხარისხოვან მწერლებსა და პოეტებს. მხოლოდ ასე გახდება საცნაური, თუ რა ფასეულობებს ემყარებოდა ოდითგანვე საქართველო და რა განძით ამდიდრებდა იგი საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო სააზროვნო თუ პოეტურ კულტურას. ის, რაც ბედის უკუღმართობით დღემდე თითქმის უცნობი დარჩა საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის, ჩვენ ახლა უნდა ავანაზღაუროთ.

ამ ამოცანის მიღწევაში კი წინამდებარე მინიატიურული გამოცემა სწორედ რომ შესაფერ სამსახურს გაგვიწევს. ახლა როცა მილიონობით უცხოელი სტუმრობს საქართველოს, კარგად თარგმნილი ლიტერატურის მნიშვნელობა გაცილებით იზრდება და ტურიზმის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვასთან ერთად ესეც აქტუალური უნდა გახდეს.

მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს მართლაც დიდი ვალი აკისრიათ ქვეყნებს შორის დაახლოებასა და მჭიდრო კონტაქტების შენარჩუნებაში.

ამ მხრივ ინესა მერაბიშვილის სახით ჩვენ გვყავს მართლაც უნიკალური პიროვნება, ვის ღვაწლსაც პატივს სცემენ როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს მიღმაც.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ინესა მერაბიშვილს გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის წევრი, **გრაფი ლიტონი** (იგი ამასთან ერთად გახლავთ ლორდ ბაირონის პირდაპირი შთამომავალი მისი ქალიშვილის ადას მხრიდან): „აღსანიშნავია, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ღრმა კულტურულ კავშირებს და საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, გაცილებით უკეთ წარმოეჩინა ქართული კულტურა ჩვენი ქვეყნის წინაშე. პროფესორი მერაბიშვილი არის ის, ვისაც ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ საგანძურს ვუწოდებთ და იგი იმსახურებს, ასეთად იყოს აღიარებული თავის ქვეყანაში“.

2018 წელი ამ მხრივ ერთობ საგულისხმო აღმოჩნდა ქალბატონი ინესა მერაბიშვილისთვის. იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს ენის, ლიტერატურისა და კულტურის სპეციალობით. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ სამივე მიმართულებას ასე ჰარმონიულად ესადაგებოდეს მეცნიერისა და მთარგმნელის მიერ გაწეული თვალსაჩინო შრომა.

> გულწრფელად ვულოცავ ქალბატონ ინესა მერაბიშვილს აკადემიკოსად არჩევას, ასევე თვით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ვულოცავ თავისი წიაღის გამდიდრებას ასეთი რანგის ავტორიტეტით. ეს ფაქტი, ზოგადად, საქართველოსთვის არის სასიამოვნო და ჯანსაღი მოვლენა, რადგან ამჯერად აღიარებამ არ დააყოვნა და სამართლიანად იპოვა თავისი ადრესატი.

ზურაბ წერეთელს ლონდონში ელიან

„უფრო დიდი, ვიდრე სიცოცხლე“ – Larger Than Life ასე ჰქვია მსოფლოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის ვრცელ რეტროსპექტულ გამოფენას, რომელსაც ლონდონის საჩის გალერეა– Saatchi Gallery ოთხი კვირის განმავლობაში უმასპინძლებს(23 იანვარი – 17 თებერვალი).

ლონდონში, სტრანდის ნომერ 180-ში მდებარე შენობას 1992 წლიდან ამკობს ზურაბ წერეთლის ქანდაკება „დავანგრიოთ უნდობლობის კედლები“(27 წლის წინათ, 26 მაისს გახსნილი ეს ნამუშევარი მხატვარმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიუძღვნა). „ვუძღვნი სანუკვარ 26 მაისს!“, მახსოვს, მხატვრის სწორედ ეს ნათქვამი მივეცი სათაურად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იმხანად გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას.

მხატვარი, რომლის ნამუშევრებსაც პლანეტის ყველა კუნჭულში შეხვდებით, დიდ პერსონალურ გამოფენას პირველად აწყობს ლონდონში, სადაც მისი შემოქმედების ყველა ეტაპის ამსახველი ფერწერის, ქანდაკებისა და ემალის ტექნიკით შესრულებული ნიმუშები იქნება ექსპონირებული.

წინამდებარე გამოფენა საჩის გალერეაში მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის (MMOMA) წარდგენით იმართება. აღნიშნული მუზეუმი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ზურაბ წერეთელმა 1999 წელს დააფუძნა მოსკოვში. მანვე მშობლიურ ქალაქ თბილისს 2012 წელს აჩუქა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი(MOMA), რომელიც საუკეთესო საგამოფენო სივრცეს წარმოადგენს საქართველოში.

85 წლის დაუცხრომელი და ახალი პროექტებით შთაგონებული მხატვარი საგანგებოდ ჩამოდის ლონდონში, რათა მონაწილეობა მიიღოს თავისი გამოფენის გახსნაში, რომელსაც ინტერესით ელის ლონდონის საზოგადოება.

თუ დემიენ ჰისტი(Damien Hirst) ამ საუკუნის ყველაზე წარმატებულ მხატვრად მიიჩნევა დიდ ბრიტანეთში, ჩვენ ქართველებს 30 წლით ადრე გვყავდა ზურაბ წერეთელი, რომელიც მის ყველა რეკორდს უსწრებს და ჯაბნის... ისე რომ, ზურაბ წერეთელი გახლავთ ნამდვილი პიონერი და დღეს მოქმედი, ყველაზე წარმატებული არტისტების წინამორბედი!

რაც შეეხება თვით გამოფენას, მასზე უფრო ვრცლად დათვალიერების შემდეგ მოგიყვებით.

გიორგი ლალიაშვილი
ლონდონიდან

რა დამაჯერებლად ხმიანებს:

გაზეთის მზრუნველთა საბჭო!

ჟურნალისტთა ბედზე მოფიქრალი სამეგობრო!

17 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მიუხედავად იანვრის საოცრად ცივი, ქარიანი, წინა დღით თბილისში, ავთანდილის ქუჩაზე, მომხდარი ტრაგედიის გამო საყოველთაო სევდა-მწუხარებისა (კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს!), შეხვედრა საოცრად პრინციპული და იმედისმომცემი გამოდგა. როგორც ჩანს, გაჭირვება მართლა წვრთნის და ამაგრებს ადამიანს...

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა „სრული თავისუფლება“ მომცა, რომ შესავალ სიტყვაში ბოლომდე მეთქვა ჩემი სათქმელი:

საუკუნოვანი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ ბედი ტყუპისცალივით ჰგავს იმ ხალხისა და სახელმწიფოს ბედს, რომლის ჭირ-ვარამსაც გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს ეს მუდამ სანდო, სამართლიანი, არასენსაციური, არაჭორიკანა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გაზეთი.

1918 წელი სამი უმნიშვნელოვანესი, დღეს უკვე ისტორიული მოვლენით იყო გამორჩეული. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა ჩვენი დედაუნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებულია ამ დარბაზში დღეს მყოფი სამეცნიერო თუ ჟურნალისტური ელიტის მინიმუმ 80 პროცენტი; 26 მაისს ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და დაფუძნდა პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკა; 25 ივლისს კი გამოვიდა ამ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს სახელმოზიარე ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელსაც ლოგოს, ანუ დედასათაურის ქვემოთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ეწერა: „საქართველოს მთავრობის მოამბე“. რა თქმა უნდა, პირველსავე ნომერში, რაც დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით სასიამოვნოდ აღიქმება, მაშინდელი მთავრობა, გაზეთის დაარსების მოთავენი ხაზს უსვამენ ქართული გაზეთის გამოცემის აუცილებლობას:

> „ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეძნება თავისი ოფიციალური **ქართული** ორგანო, სადაც განუწყვეტლივ იმეტყველებს სახელმწიფოებრივი ენა, კანონი და სამართალი, იმეტყველებს მთელი ხალხის საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ!
>
> ეს გაზეთი არის ჩვენი მთავრობის მოამბე, რომელიც დღეს **პირველად** ევლინება საქართველოს ხალხს. ქართველი ხალხი დღევანდლამდე მოკლებული იყო საშუალებას, პირდაპირ **მშობლიურ ენაზე** სავსებით ეგრძნო და გაეგონა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების ოფიციალური **ქართული სიტყვა და ნებისყოფა“**...

და ამ სახელმწიფოებრივ ქართულ ენაზე გაზეთი თითქმის სამი წელიწადი წარმართავდა ჩვენი საზოგადოების, ერისა და ბერის დემოკრატიულ აზრს, ვიდრე ბოლშევიკურმა რუსეთმა და ამ ბოლშევიკური პარტიის მთავარმა დამრტყმელმა ძალამ – ქართველმა სუპერბოლშევიკებმა და რევოლუციონერებმა საქართველოს ოკუპაცია არ მოახდინეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და რჩეული ინტელიგენცია საზღვარგარეთ არ გარეკეს! რა თქმა უნდა, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩანაცვლდა 1920 წლიდან თითქმის იატაკქვეშეთში გამომავალი „კომუნისტით“ და მას დაეკისრა ტოტალური ბოლშევიკური რეჟიმის, როგორც დღეს ამბობენ, **ტოტალური სიყალბის პროპაგანდა,** თუმცაღა, პოლიტიკურ თემატიკას, რუსულ შოვინიზმს და მკაცრ ცენზურას თუ არ ჩავთვლით, მთელი 70 წლის განმავლობაში ეს საოცრად პოპულარული გაზეთი „კომუნისტი“ ქართული კულტურის, ისტორიის, მეცნიერების, მედიცინის, ახალგაზრდული პრობლემების, სპორტისა და სხვა ეროვნული პრობლემების ქომაგი და პოპულარიზატორი იყო. შესაძლოა, ვიღაცას სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ... ის ძალიან ხელმისაწვდომი და თითოეულ ქართულ ოჯახში შემავალი გაზეთი, **ქართული ცნობიერების დამამკვიდრებელი გახდა**. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი მწერალი, პოეტი, მეცნიერი, ხელოვანი, პუბლიცისტი თუ მეზვრე-მევენახე, რომელთა ნააზრევი ამ გაზეთში არ დაბეჭდილიყოს...

დრონი მეფობენ და არა მეფენი, 80-იანი წლების ბოლოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და შემდეგ, დამოუკიდებლობააღდგენილი ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** საოცარი ოპერატიულობით აღადგინა 1918 წლის გაზეთი იმავე ლოგოთი და იმავე ფორმატით. მას შემდეგ, უკვე 28-ე წელიწადია, მრავალჭირგადანახადი „საქართველოს რესპუბლიკა“ წარმოუდგენელი ერთგულებით ემსახურება მკითხველს, თუმცაღა, რაც უფრო წინ მივდივართ კოსმოსისა და ტექნიკური, განსაკუთრებით, კომპიუტერული ცივილიზაციის გზით, მით უფრო იკლებს წიგნისა და გაზეთის მკითხველი და საბაზრო ეკონომიკის. აბსოლუტურად ქართულად გაბაზრებული ეკონომიკის დაუნდობელი კონკურენციის პირობებში **ბეჭდური მედია სულს ღაფავს**. ქართველ კაცს, ჩვენდა საუბედუროდ, სულის საზრდოს მუდამ ერჩია კუჭის საზრდო. გახსოვთ, ილია ჭავჭავაძეც კი მთელ საქართველოში 500 ხელმომწერს ნატრობდა და ვერ პოულობდა... სერგეი მესხმა 14 წელიწადი რის ვაივაგლახით „ათრია“ უმშვენიერესი გაზეთი „დროება“ და... ჯანმრთელობაც მთლიანად ამ გაზეთს შესწირა... რაღა შორს მივდივართ, მკითხველის გულგრილობის, ხელისუფლების უყურადღებობის გამო დაიხურნენ გაზეთები „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ნერგი“ და სხვ... თითქმის დახურვის პირასაა „ლიტერატურული საქართველო“, ფინანსურად ძალიან გაუჭირდა ქართველ ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს...

ქართული პრესის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად იქცა „საქართველოს ფოსტის“ ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია: „ჟურნალ-გაზეთების ჩამორიგება ძვირი გვიჯდება და ამ საქმეზე ხელს ვიღებთო“! დავრჩით მხოლოდ კერძო გამავრცელებლების ამარა, რომლებიც თავიანთი განწყობით არიგებენ გაზეთებს. შაბათობით, თბილისის გარეთ, პრესა საერთოდ არ იგზავნება, დაინტერესებული მკითხველი კი გვეკითხება – გამოვიწერ გაზეთს, ოღონდ ვინ მომიტანს? თბილისშიც კი კერძო დამტარებლებს კონკრეტულ მისამართებზე (განსაკუთრებით მაღლივ კორპუსებში) ჭირის დღესავით ეზარებათ ჟურნალ-გაზეთების ჩამორიგება...

> **თვით სახელისუფლებო ორგანოებშიც კი აძა-იძ თუ აძვთ გაზეთები გამოწერილი, არ სცალიათ გაზეთების წასაკითხად. საქართველოს პარლამენტის თითქმის არც ერთ დეპუტატს გაზეთები, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოწერილი არა აქვს...**



გახსოვთ, ალბათ, 2004 წელს გაბრაზებულმა სააკაშვილმა როგორ იყვირა: **გაზეთები არ გამოიწეროთ, არ წაიკითხოთ, ისინი ჩვენი მტრები არიანო!** მერე, 2007 წლის აგვისტოში დრო „გვიხელთა“ და გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყარა, მერე „იმედი“ დაარბია, საკუთარი ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“ გააჯეჯილა, მილიონობით ვალები ჩამოაწერა და... ნიკა გვარამია ქართველ ხალხს დღემდე უწყობს ყოველდღიურ ჯოჯოხეთს...

აი, არასწორად, პრიმიტიულად, გულისამრევად გაგებული სიტყვის თავისუფლება.

ერთი სიტყვით, მასმედიის ქართულ ბაზარზე დიდი არეულობაა... სწორედ ამ პრობლემებზე მინდა ვისაუბროთ დღეს, ამ სევდიან, ქარიან და ყინვიან, მაგრამ მაინც იმედიან დღეს და აქ მოწვეულ კოლეგებს მინდა, ვთხოვო საქმიანი წინადადებები შემოგვთავაზონ სამ კონკრეტულ საკითხზე:

რა გზებით შეიძლება ქართული ბეჭდური მედიის გადარჩენა და მოღონიერება?

რა ფორმით შეიძლება ჩავრთოთ ამ გადაუდებელ, მართლაც სახელმწიფოებრივ საქმეში ძვეყნის დღევანდელი მთავრობა?

როგორ დავარწმუნოთ ხელისუფალნი, რომ პრესისადმი ასეთი დამოკიდებულება მიუტევებელი შეცდომა და სირცხვილია?!..

ამის შემდეგ „იძულებული შევიქენ“ გაზეთის ერთგული მკითხველისკენაც იმედის ნაპერწკალი „მესროლა“ და გულწრფელი მადლობა მომეხსენებინა ჩვენი ცნობილი ადამიანებისთვის: **ეთერ ქემერტელიძე, მაია კვეზერელი-კოპაძე, ლონდა მდივანი, გურამ საღარაძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, გურამ ახრახაძე, ნოდარ ემუხვარი, ბონდო ქობულია, იური ოსიპოვი, იაკობ ლეჟავა, ვალერიან გრძელიშვილი, გივი ჯახუა, თამაზ ნატროშვილი, ისიდორე ჯანელიძე, გოჩა ბერიძე, ანზორ თოთაძე, თორნიკე ბოლოთაშვილი, ვახტანგ დავითაია, თამაზ შილაკაძე, დემურ გადელია,** რომლებმაც გაზეთები გამოიწერეს, სხვადასხვა ოდენობის თანხები ჩაგვირიცხეს და სული მოგვათქმევინეს.

მაგთი და მისი თავკაცი, ბატონი **გია ჯოხთაბერიძე** გამორჩეული მეცენატია ჩვენი გაზეთისთვის. სარედაქციო კოლეგიის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ბატონმა გიამ ავანსად ჩამოგვირიცხა მთელი 2018 წლის სარეკლამო თანხა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაგთი მუდამ ქართულ საქმეს აკეთებს.

კოლეგიალური მეგობრობის, მოთმენის, მიზერული ხელფასებით „დაკმაყოფილების“, საქმის ერთგულების ნიჭით დაჯილდოებული ათიოდე თანამშრომელი შემორჩა ჩვენს რედაქციას. რამდენიმე მათგანის გვარი თითქმის ყოველდღიურად ჩანს გაზეთის ფურცლებზე და არაფერს ვიტყვი. მკითხველისთვის უჩინარ გმირებს კი აუცილებლად ჩამოვთვლი და დიდ ადამიანურ ბედნიერებას ვუსურვებ: გაზეთის კომპიუტერული ცენტრის უფროსი და ერთადერთი დამკაბადონებელი **კახა ქორიძე,** ოპერატორები — **შორენა გვილია** და **მზია გორგაძე,** გამოცდილი სტილისტ-კორექტორები **ნაირა კეკელია** და **მაია იორამაშვილი,** სარეკლამო მენეჯერი **ლუსია მჭედლური...**

გაზეთი რომ სტაბილურობას ინარჩუნებს და წელიწადში მინიმუმ 260 ნომერი გამოდის, ეს მისი **გამომცემელ-ფინანსისტის მარინა კანდელაკის** დამსახურებაა. იმედია, წლეულს მაინც გაისტუმრებს ის ჩვენი მეგობარი სტამბის („კოლორი“, „კოლორ-პრესი“) დავალიანებას და რედაქციის შემოქმედებით მუშაკებსაც დაუფასებს გოლგოთურ შრომას.

* * *

სახელი და დიდება ყველა რედაქტორს და რიგით თანამშრომელს, რომლებიც საუკუნის განმავლობაში მუშაობდნენ ამ გაზეთში და მყარი საფუძველი ჩაუყარეს დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკას. ხსოვნა და არდავიწყება იმათ სახელებს...

ახლა დასკვნით ნაწილში „კვანძი შევკრათ“ და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე ბატონი **თამაზ შილაკაძის** წამოყენებულ წინადადებას მივაპყროთ ყურადღება:

„შევძნათ საუკუნის გაზეთის გადარჩენისა და აღორძინების შტაბი, ანუ მზრუნველთა საბჭო, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ ირგვლივ გააერთიანებს ცნობილ მამულიშვილებს, ცნობილ ბიზნესმენებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, მთავრობის, პარლამენტის შესაბამის განყოფილებებს, ახალი პრეზიდენტის აპარატს, დედაქალაქის მერიას და საკრებულოს, რეგიონული მმართველობის ორგანოებს... ხალხს უნდა გავაგებინოთ, რომ ამ გაზეთის გამოწერა და წაკითხვა, ერში შექმნის იმედის, აღორძინების, განვითარების პერსპექტივას... საქართველოს კულტურის ფონდი, რომელიც დიდმა მერაბ ბერძენიშვილმა შექმნა და რომელსაც ახლა მე ვხელმძღვანელობ, ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ მზრუნველთა საბჭო პრაქტიკულად ძმედითი ორგანიზაცია გახდეს.

ბატონი **თამაზ შილაკაძის** წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი საერთაშორისო ასოციაცია „კულტურათა დიალოგის“ პრეზიდენტმა, პროფესორმა **ვალერი ასათიანმა,** ცნობილმა ჟურნალისტმა და სახელმწიფო მოღვაწემ **ნუგზარ ფოფხაძემ,** ჟურნალისტმა და პედაგოგმა **ნუგზარ რუხაძემ,** რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ, ცნობილმა პოეტმა **დავით შემოქმედელმა,** გაზეთის აქტიურმა მკითხველებმა და ავტორებმა, აკადემიკოსმა **ავთანდილ არაბულმა** და პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა.**

პუბლიცისტმა **დავით მხეიძემ** გულწრფელი თხოვნით მიმართა „ქართული ოცნების“ ლიდერს და ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე დიდ ქველმოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს — დაეხმაროს ბეჭდურ მედიას, კონკრეტულად კი ყველაზე სანდო და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე 100 წლის გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ პრეზიდენტმა, პროფესორმა **მაია კვეზერელი-კოპაძემ** სრული მზადყოფნა გამოხატა მზრუნველთა საბჭოში გაერთიანებისთვის და საგანგებო სიგელი და ასოციაციის ოქროს მედალი გადასცა რედაქციას...

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ **მარინა თექთუმანიძემ** შეკრებილთ აღუთქვა, რომ ენერგიულად იზრუნებს ერთადერთი საუკუნოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებისთვის. მანვე საპატიო სიგელი და მოოქროვილი წმინდა გიორგის ხატი გადასცა რედაქციას.

ყველაზე „უხვმოსავლიანი“ იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარის, ცნობილი პოეტისა და ტელეჟურნალისტის **მაყვალა გონაშვილის** გამოსვლა. ჯავარიანი მისალმების შემდეგ მან ილია ჭავჭავაძის პრემია გადასცა გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს, ცნობილ მთარგმნელსა და პუბლიცისტს **გურამ გოგიაშვილს,** ქართული კულტურის ამაგდარის წოდებები ჩამოურიგა ცნობილ ჟურნალისტებს — **ალეკო ასლანიშვილს, მამუკა ვაშაკიძეს, ოთარ ტურაბელიძეს და... ამ სტრიქონების ავტორს...**

გულწრფელად გმადლობთ!

შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და ჩვენს გაზეთთან შემოქმედებითი თანამშრომლობის ნათელი მაგალითები წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.**

შეხვედრას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი, საზღვარგარეთიდან ახლახან ჩამოსული ახალგაზრდა კაცი, ბატონი **ალექსანდრე ასათიანი,** რომელიც დაგვპირდა, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აქტიური მკითხველი გახდება.

* * *

გაზეთისა და გაზეთზე მზრუნველთა საბჭო! ჟურნალისტთა ბედზე მოფიქრალი სამეგობრო! — ხომ მართლაც კარგად ხმიანებს, ძვირფასო მკითხველო?! ჰოდა, ამ საბჭოს პირველი ღირსეული წევრები უკვე ჰყვანან, ვინ იქნება შემდეგი? არ გამოგრჩეთ, გონებიდან არ ამოიგდოთ, რომ ჩვენს გაზეთს ჩვენი სამშობლოს — საქართველოს რესპუბლიკის სახელი ჰქვია. მისი აღორძინებით, თქვენ ჩვენი ძვეყნის აღორძინებასაც უწყობთ ხელს!

ეს არ არის ტრაფარეტული რიტორიკა, ეს ჩვენი მწარე სინამდვილეა!

გაზეთს მართლა სჭირდება გადარჩენა!

სპარტაკ ქობულია

◎ „ლობიო არ გვინდა, გვაქვს-თქო“!

ქართველი მეცნიერები NASA-ში

მარსის ტერაფორმირებულ გრუნტზე ხორბლისა და ლობიოს მოსავალი



ბოლო ხანებში ტელევიზიით ხშირად გადაიცემა მარსის, როგორც წითელი პლანეტის პრობლემების შესახებ, მარსის გრუნტის სოფლის მეურნეობის საწარმოებლად გამოყენების შესახებ, მარსზე კოსმონავტების განსახლების პირობებში. ხშირად ასახელებენ NASA-ში პირველად წარდგენილ ქართველ მეცნიერებსაც. სამწუხაროა, რომ მათ არა აქვთ სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ NASA-ში პირველად ჯერ კიდევ 2010 წელს საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ და მისმა დოქტორანტმა მარიამ ტარასაშვილმა, სადაც

აშშ-ში NASA-ში ასტრობიოლოგიის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი (ჰიუსტონი, 2010). სურათზე (მეორე) ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი კარლ პილჩერი თანამშრომლებთან ერთად

მოხსენიებული იყო ექსტრემალურ გარემოში მოპოვებული მიკროორგანიზმებით მარსის გრუნტის ტერაფორმირების შედეგები.

ეს იყო პირველი გამოკვლევები, მას შემდეგ, რაც ბიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მ. ტარასაშვილმა ნ. ალექსიძეს შესთავაზა, ეხელმძღვანელა მისთვის, როგორც ასპირანტისთვის, მარსის გრუნტის ბიოქიმიური ტერაფორმირების მიზნით სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად. მას შემდეგ, რაც მათ მოიპოვეს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი (Mars Research Project N GN-SF/ST07/6-221, 2008-2011), რომლის მეცნიერ ხელმძღვანელი და მენეჯერი იყო პროფესორი ნუგზარ ალექსიძე, დოქტორანტთან ერთად დაიწყეს ფართო სამეცნიერი-კვლევითი სამუშაოები ასტრობიოლოგიის მიმართულებით, მიზანი იყო, მოეხდინათ მარსის გრუნტში არსებული მინერალური ნივთიერებისა და ქანების მიკრობიოლოგიური ტერაფორმირება მცენარეების განვითარებისათვის სათანადო აგრონომიული პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით საქართველოს ექსტრემალური რეგიონებიდან მოძიებული იქნა რკინაბაქტერიები (მარსის წითელი ფერი რკინით მდიდარი ნაერთებითაა განპირობებული), ციანობაქტერიები, სილიკო და გოგირდბაქტერიების და სხვ. საგულისხმოა, რომ მცენარეთა განვითარება უშუალოდ მარსის ნიადაგზე შეუძლებელია, საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა მათ დაამტკიცეს, რომ რკინის შემცველი ბაქტერიები და ზოგიერთი სოკო მარსის იმიტირებულ ნიადაგზე საკმაოდ კარგად ვითარდებიან და სოკოები ჰიფებსაც კი წარმოქმნიან. მარსის გრუნტის ბიორემედიაციის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებმა პროფესორ ნუგზარ ალექსიძის ხელმღვანელობით დაიწყეს მარსის გრუნტის მიკრობიოლოგიური ბიორემედიაცია. ცდები ტარდებოდა მათ მიერ შექმნილ პლანეტა მარსზე არსებული რადიაციულ-ტემპერატურული გარემოსა და ატმოსფეროს შედგენილობის კომპიუტერულ-დისტანციური მართვის კლიმატო-კამერაში, რისთვისაც ავტორებმა ნ. ალექსიძემ, მ. ტარასაშვილმა ს. წერეთელმა და შ. საბაშვილმა საიმიტაციო მოწყობილობის შექმნისთვის („პლანეტა მარსზე არსებული გამოსხივების, ტემპერატურისა და ატმოსფეროს შედგენილობის საიმიტაციო კლიმატო-კამერა“) მოიპოვეს პატენტი („საქპატენტი“, №12522/01, 2012).

შედეგად, მათ ივარაუდეს, რომ ბაქტერიებით გარდასაქმნელი სუბსტრატებით გამდიდრების მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა მცენარეებისთვის ათვისებადი სუბსტანციების დაგროვება. სურათზე წარმოდგენილია მარსის „ნიადაგის“ რკინაბაქტერიებით (Leptothrix spp., Acidithiobacillus ferroxidans, სილიკო და ნიტრიფიკაციის ბაქტერიებით (Nitrosomanas, Nitrosospira, spp. და Nitrobacter winogradsky) ბიორემედიაციის შედეგად მარსის „ნიადაგში“ მცირე ზომის ბიოორგანული გრანულების წარმოიქმნა, რომელთა ზრდა ინტენსიურად მიმდინარეობდა დროში.

მიღებული შედეგები მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციებზე: Chromatic Complementary Adaptation for the exploration of Extrerrestrial Life. Bioasrtonomy Conference, San Juan, Puerto-Riko, US, 2007. MICROBIOLOGICAL REMEDIATION OF MARTIAN SOIL FOR FUTURE TERRAFORMATION OF THE PLANET. Astrobiology Science Conference, USA, Huston, 2010. Astrobiology Science Conference – 2017. მოპოვებული სამეცნიერო შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალში International Jurnal of Astrobiology (2007, 2010, 2013, 2015, 2016, 2017 წლებში). დასანანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტ მ. ტარასაშვილს დღემდე არ შეექმნა დისერტაციის დაცვის საშუალება.

მარსზე არსებული მინერალური ნივთიერებებისა და ქანების არსებობიდან გამომდინარე, რომელთა წარმოქმნა წყლის გარეშე შეუძლებელია, მეცნიერებმა ივარაუდეს მარსზე ცეოლიტის არსებობა, რაც მალე იქმნა დადასტურებული ნასას თანამშრომლების მიერ. ცეოლითებისა და მარსის გრუნტის ნარევით მათ შეძლეს, მიეღწიათ ისეთი შედგენილობისათვის, რამაც საშუალება მისცა ავტორებს, ასეთი ტიპის ნარევ ნიადაგზე დაეთესათ და მიეღოთ ხორბლისა და ლობიოს მოსავალი. პრინციპში, მარსზე განსახლებულ კოსმონავტებს შეეძლებათ მიიღონ არამარტო ხორბლისა და ლობიოს, არამედ ნებისმიერი პროდუქტის წარმოების საშუალება (Know how), თუნდაც ვაზის, რის შესახებაც დღეს დიდი ხმაურია ატეხილი. სურათზე წარმოდგენილია ხორბლისა და ლობიოს მცენარეთა განვითარება მათ მიერ შექმნილ კლიმატო-კამერაში.

ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით ნუგზარ ალექსიძე ამერიკის ABC ცენტრმა წარადგინა ისააკ ნიუტონის სიგელით დასაჯილდოებლად ასტრობიოლოგიაში.

ბოლო ხანებში მეც, როგორც მიკრობიოლოგი, აქტიურად ჩავერთე ამ კვლევებში და მოპოვებული მასალის დამუშავებაში, შედეგად, თანაავტორობით გამოვაქვეყნეთ სამეცნიერო სტატია Problems of Mars soil bioremediation and formation of the atmosphere, ჟურნალში: International Jurnal of Inovacion and Technological Reserch. 2019.

ზ. ლომთათიძე,
აუზაგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი

რა ეამაყებათ და რის გამო რცხვენიათ რუსებს?

„ეროვნული იდენტობა და სიამაყე“, – რუსული არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია „ლევადას ანალიტიკური ცენტრი“ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს აქვეყნებს. „ლევადა ცენტრი“ ამ სფეროში რუსეთში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ძველი კომპანიაა.

რუსული ეროვნული იდენტობის, კოლექტიური სოლიდარობის საკითხებს, ქვეყნის ისტორიაში განვითარებული მოვლენების მიმართ რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულებებს „ლევადას ცენტრი“ 80-იანი წლების მიწურულსაც იკვლევდა. მაშინ, კვლევით პროგრამას „საბჭოთა ადამიანი“ ერქვა.

ორგანიზაციამ, იგივე საკითხებზე რუსეთის მოსახლეობაში ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვა 2018 წლის ნოემბერსა და დეკემბერშიც ჩაატარა. ცენტრმა 18 წლისა და მეტი ასაკის 1600 რესპონდენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოჰკითხა. „ლევადა ცენტრის“ მეცნიერ-თანამშრომელი კარინა ფიფია აღნიშნავს, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში სიამაყეს, ძირითადად, კვლავ წარსული იწვევს.

* * *

გამოკითხულთა 87% „დიდ სამამულო ომში გამარჯვებით“ ამაყობს. 50% – რუსეთის მიერ „კოსმოსის ათვისებით“, 40% კი – „დიდებული რუსული ლიტერატურით“.

თანამედროვე მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, გამოკითხულთა 45% საამაყოდ „ყირიმის დაბრუნებას“ მიიჩნევს. 36% „რუსული შეიარაღებით“ ამაყობს, 18% კი „ვლადიმერ პუტინით“ – ისინი ფიქრობენ, რომ პუტინის მმართველობის პირობებში ქვეყანამ სტაბილურობა შეინარჩუნა.

გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას მკაცრად უარყოფითი რეაქცია აქვს რუსეთის მიერ იაპონიისთვის „კურილიის კუნძულების შესაძლო გადაცემაზე“, მსგავსი პერსპექტივის თუნდაც მხოლოდ საჯარო განხილვების მიმართაც კი. გამოკითხულთა 1% ფიქრობს, რომ „რუსეთს საამაყო არაფერი აქვს“. **„ლევადას ცენტრის“ მეცნიერ-თანამშრომელი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, რუსეთის მოსახლეობის სრული უმეტესობის ყურადღება თანამედროვე პრობლემურ საკითხებზეა კონცენტრირებული, როგორებიცაა,** – სიღარიბე, მწვავე სოციალური პრობლემები, სახელმწიფო ინსტიტუტები.

გამოკითხულთა 61%-ს „მუდმივი სიღარიბის“ რცხვენია. თუმცა მიაჩნიათ, რომ რუსეთი უმდიდრესი ქვეყანაა. 37% სირცხვილს განიცდის „ამორალურობის, სიხარბის, ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობის“ გამო. 24%-ს რცხვენია იმის გამო, რომ რუსეთი „დასავლეთს ჩამორჩება.“

45%-ს სამარცხვინოდ მიაჩნია „საბჭოთა კავშირის დაშლა“. ეს მაჩვენებელი, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალია, წინა წელთან შედარებით კი 12 პროცენტით არის გაზრდილი.

„ვლადიმერ პუტინის მმართველობის გამო“ 9%-ს რცხვენია. 2015 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 8%-თ არის გაზრდილი.

გამოკითხულთა 6%-ს მიაჩნია, რომ „რუსეთს სამარცხვინო არაფერი აქვს“.

საბა გუჯაბიძე,
ქართლოს შარაშენიძე

მას შემდეგ, რაც რძის მწარმოებელი კომპანიებისგან კატეგორიულად მოითხოვეს, რომ პროდუქციის ეტიკეტზე ზუსტი მინიშნება გაეკეთებინათ იმის თაობაზე, იყო თუ არა მათი პროდუქცია ნატურალური, მომხმარებელმა იფიქრა, რომ ახლა მაინც გაარკვევდა სიმართლეს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მომხმარებელი დღესაც დაუცველია და რეგულაციების ამოქმედების შემდეგაც ნატურალური რძის ნაცვლად, ემულგატორების, კონსერვანტებისა და გლუტენით სავსე სითხეს ღებულობს.

ნატურალური და ხარისხიანი რძის წარმოების მხრივ ფინეთი უპირობო ლიდერია და მას ვერ შევედრებით, მაგრამ ისიც დაუშვებელია, რომ რძის პროდუქტების ბაზარზე ეტიკეტირების წესები ირღვევა.

2015 წლის 1 აგვისტოს ძალაში შესული რეგლამენტით, მცენარეული ცხიმის შემცველ ნაწარმზე აიკრძალა „რძის ნაწარმის“ ან მიმსგავსებული ტერმინების გამოყენება. მთავრობის ახალი რეგულაციით, სურსათის ეტიკეტზე ტერმინები „რძე, მშრალი რძე, არაჟანი, მაწონი, ხაჭო, კარაქი“ უნდა გამოიყენონ მხოლოდ რძის ნაწარმის შემთხვევაში, ხოლო, თუ რძის ნაწარმში დამატებულია მცენარეული ცხიმები, მაშინ ეტიკეტზე უნდა დაიწეროს „რძის შემცვლელი პროდუქტი“.

სინამდვილეში, რა შემადგენლობისაა „რძის ნაწარმი“, რომელსაც ბიზნესოპერატორები ნატურალურად ასაღებენ? ამის შესახებ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელს გიორგი ბურჯანაძეს ვესაუბრეთ.

ფალსიფიკაცია! SOS! ფალსიფიკაცია!

„9 წუთი სჭირდება ყველის დამზადებას, ლამის ქიმიის კურსებს ამთავრებენ, ისეთ დონეზე აქვთ ინფორმაცია ყველის შემადგენლობის შესახებ“

— ბიზნესოპერატორები წესებს არღვევენ და არც ჯარიმებს უშინდებიან. ეტიკეტზე ხშირად აწერენ, თითქოს მათი პროდუქცია დამზადებულია ნატურალური რძისგან, თუმცა რეალურად ეს არის აღდგენილი რძე, რაც ეტიკეტზე სკრუპულოზური დაკვირვების შემდეგ შეიძლება აღმოაჩინოს კიდეც მომხმარებელმა. კვლავაც დაუცველია თუ არა მომხმარებელი?

— კანონმდებლობა ავიდა იმ სიმაღლეზე, რომ რეგულაციები საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მიიღოს რეალური სურათი, არის თუ არა პროდუქტი ეკოპროდუქტი, თუ პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთა არაა. მოგეხსენებათ, არსებობს რძის პროდუქტი, მაგრამ არის რძისმაგვარი პროდუქტიც, რომელიც 100%-იანი რძის პროდუქტად ვერ ჩაითვლება. ამის განსხვავების საშუალება მომხმარებელს ეძლევა, მაგრამ ნებისმიერი ეს პროდუქტი რომ აიღონ და კვლევა ჩაატარონ, მიხვდებიან, რომ ე.წ. ნატურალური და ე.წ არანატურალური რძის პროდუქცია აბსოლუტურად ერთი და იმავე სახეობის პროდუქტია და ტყუილად იხდის მომხმარებელი ამდენ თანხას. სინამდვილეში, ეს ფალსიფიკაციაა.

— თუკი ბიზნესოპერატორებს არ უნდა ვენდოთ, მაშინ რა გზა რჩება? მაგალითად, ნავთლულის ბაზარზე აზერბაიჯანელი ქალბატონები ყიდიან მაწონს, რაც ბევრი დიასახლისისთვის მიუღებელია არაჰიგიენურობის გამო. ფიქრობთ, ისინიც რძის ფხვნილს იყენებენ?

— კარგია, რომ ნავთლულის ბაზარი ახსენეთ. ჩვენი მონიტორინგის ჯგუფის თანამშრომლები ნავთლულის ბაზარშიც არიან, ქუთაისშიც, ზესტაფონშიც, დიდუბის ბაზარშიც და მონიტორინგს ატარებენ. ნავთლულის მიმდებარე ტერიტორიაზე დილის საათებში ქალბატონები მართლაც ყიდიან რძესა და მაწონს. ხელმარჯვნივ მეტროდან რომ მიდიხართ და ისნისკენ მოძრაობთ, კუთხეშივე რაიონის მიკროავტობუსების მიმდებარედ, 6-9 ქალბატონი მაინც ვაჭრობს ამ პროდუქტით. ბევრი მათგანი რასაც ყიდის რძედ, სინამდვილეში, ის რძის ფხვნილით დამზადებული სითხეა და არა ნატურალური რძე და მაწონი. დღეს ტექნოლოგია ისეთ დონეზეა, 9 წუთი სჭირდება ყველის დამზადებას, ლამის ქიმიის კურსებს ამთავრებენ, ისეთ დონეზე აქვთ ინფორმაცია ყველის შემადგენლობის შესახებ. რასაც უნდათ, იმას აწერენ ყველს, შეუძლიათ, იმერული ყველიც დააწერონ, ამ დროს კი ყველი დამზადებულია რძის ფხვნილით. უამრავი მეთოდია, რომ ყველი დამზადდეს არასაქონლის „რძისგან“. ამიტომ ნავთლულის ტერიტორიაზე ნამდვილ რძის პროდუქტს ვერ შეიძენთ. ამის საწინააღმდეგოდ ვერავინ ვერაფერს აკეთებს, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რადგან თვითონვე აღნიშნავენ, რომ სოფლიდან ჩამოსულ ქალბატონ მაყვალას, რომელიც გარეთ ყიდის რძის პროდუქტებს, ვერანაირად დაავალდებულებენ და არც აქვთ იმის საშუალება, გააკონტროლონ, მომხმარებელს რა უნდა მიჰყიდოს. მიშა საკაშვილივით ყველაფერი ერთ რამეზეა გათვლილი, მიშამაც სანიტარიული სამსახური გააუქმა და დაგვარიგა კიდეც, ვირთხას რომ ნახავთ რესტორანში, მეორედ აღარ შეხვიდეთო. მაინცდამაინც რესტორნის სამზარეულოში უნდა ვნახოთ ვირთხა? მაინცდამაინც რძის პროდუქტები ლაბორატორიაში უნდა ვატაროთ შესამოწმებლად? ხომ შეიძლება, სახელმწიფომ იზრუნოს იმაზე, რომ ჩვენი მოქალაქეები დაცული იყვნენ.

— რძის ფხვნილი ისე იაფია, რომ რძის მწარმოებელ კომპანიებს უღირთ მისი გამოყენება?

— რძის ფხვნილი ძალიან იაფია. ჩემი ინფორმაციით, მარნეულის რაიონში დადიან რძის გადამმუშავებელი საწარმოების, რძის პროდუქტებზე მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები და 60 თეთრად იბარებენ ერთ ლიტრ ნატურალურ რძეს. ეს მინიმალური მაჩვენებელია, თორემ ისე 1.50-2.50 ლარიც ღირს ერთი ლიტრი რძე. ამ დროს მისგან წარმოებულ პროდუქციას კომპანიები გაცილებით მეტ ფასად ყიდიან. ამდენად, ცხადია, მომგებიანია ფალსიფიკაციით რძის ფხვნილით მიღებული რძის ნაწარმი. თუკი ნატურალური რძე ჯდება 60 თეთრი, რძის ფხვნილი ჯდება სადღაც 15-20 თეთრი, ამიტომ მწარმოებელი გადაერთო ამაზე. ვიზუალში რძე თეთრია, არომატიზატორები გაძლევს საშუალებას, გასაღო, თითქოს იმერულ ყველს მიირთმევ, ან ნატურალურ რძეს სვამ, მაგრამ ეს კომპანიები უფრო შორს მიდიან. იმდენს ბედავენ, რომ პროცენტსაც აწერენ ზედ, თითქოს ამდენი ცხიმიანობაა შიგნით. ეს მაშინ, როცა არაფერი მსგავსი არ არის. ვიღაცამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, ამდენი წელია, ამაზე ვსაუბრობ, არასამთავრობო სექტორიც ამავეს ადასტურებს, რომ ფალსიფიკაციაა. ხომ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ გაგვაჩუმონ მეც და სხვებიც. ის, რომ ქარხნის წარმომადგენლები დადიან სოფელ-სოფელ და ყიდულობენ მოსახლეობისგან რძეს, ესეც დოკუმენტაციისთვის სჭირდებათ, თითქოს ნატურალურ რძეს იყენებენ. მე რომ ძროხა მყავდეს, 60 თეთრად არ გავყიდდი რძეს, რადგან მისგან ყველს გამოვიყვანდი, ან რძეს უფრო მეტ ფასად გავყიდდი. ეს ამ კომპანიებს რეკლამირებისთვის სჭირდებათ, აქაოდა, ჩვენ მოსახლეობისგან ვყიდულობთ რძეს და ამას შემდეგ ხალხს ვაწვდითო.

ვთქვათ, ერთი ტონა წარმოებული პროდუქციისთვის ყიდულობენ დაახლოებით 100 ლიტრ რძეს, დანარჩენს ფალსიფიკაციას ახდენენ. არც იმას გამოვრიცხავ, ნატურალური რძე სახლშიც მიაქვთ ვადის გასვლის შემდეგ. ჩვენი შვილების თაობა უკვე ვეღარ არჩევს ნატურალურ რძეს ფალსიფიცირებულისგან. ჩვენს თაობას კიდევ ახსოვს ნამდვილი რძისა და ყველის გემო. ერთი პერიოდი, კვლევა ჩავატარეთ და დავუკავშირდით ლაბორატორიებს. მაშინ 12 აკრედიტებული ლაბორატორია იყო, რიგითი მოქალაქის სახელით დაურეკეს ლაბორატორიებს ჩვენებმა და უთხრეს, რომ რძის პროდუქტების შემოწმება უნდოდათ ცხოველური ცხიმის შემადგენლობაზე, ანუ ნატურალური იყო თუ არა რძე. წარმოიდგინეთ, 12-ივე ლაბორატორიამ უარი განაცხადა ამ კვლევის ჩატარებაზე. ეს იმიტომ, რომ დღეს საქართველოში წარმოებული რძის პროდუქტი ნატურალური არ არის.

როდესაც მინისტრ ოთარ დანელიას ეს ინფორმაცია ვაცნობე, გაგიჟდა ეს ადამიანი და ჩემ თვალწინ დაუკავშირდა ცალკეულ ლაბორატორიებს, რომლებმაც არგუმენტად მოიტანეს, თითქოს რეაქტივი არ ჰქონდათ. უმეტესობა ამით აპელირებდა. ამ დროს ლაბორატორია გქვია, აკრედიტაცია გაქვს მიღებული და რძესა და ყველს თუ ვერ ამოწმებ, მაშინ რისთვის ფუნქციონირებ? ბატონი ოთარის დახმარებით მოვახერხეთ და ვაშლიჯვრის ლაბორატორიისგან თანხმობა მივიღეთ შემოწმებაზე.

— შემოწმების შემდეგ თქვენი ბერკეტი რა არის?

— არაფერი. ვთქვათ, მივიტანეთ რძის ნაწარმი ლაბორატორიაში და დავადგინეთ ერთ ლაბორატორიაში, რომ ამა და ამ კომპანიის მიერ წარმოებული რძის პროდუქტი ფალსიფიკაციაა. მეორე ალტერნატიულ ლაბორატორიაში შეუძლია წაიღოს მეწარმემ და თქვას, რომ მისი პროდუქტი ფალსიფიცირებული არ არის. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკაში მქონდა, რომ უცხოეთში მიმქონდა საკვებ პროდუქტთა ნიმუშები. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, თურქეთიდან რომ ჩამომიტანია კვლევა, საქართველოში ორი აკრედიტირებული ლაბორატორიის „კვლევა“ დამიდეს საპასუხოდ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც, წესით, უნდა გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, არგუმენტად მოიტანა, კი, თურქეთში კარგ ლაბორატორიაში დაგიდასტურეს, რომ ეს პროდუქცია ცუდია, მაგრამ აგერ, ჩვენ საქართველოში ორმა ლაბორატორიამ გვითხრა, რომ პროდუქტი კარგია, ამიტომ ამას ვეყრდნობით და ვენდობითო. ენდობა იმიტომ, რომ მისი კოლეგაა სათავეში და უამრავ დარღვევაზე თვალს ხუჭავს. ასეთი სიტუაცია არასდროს დამთავრდება საქართველოში, სანამ ხელისუფალი ნორმირებულ ქმედებაზე არ გადავა. კანონი არსებობს, მაგრამ კანონი არ სრულდება, ამ დროს უნდა აამოქმედო ისეთი ბერკეტი, რომ მაკონტროლებელ ორგანოს ჰქონდეს მხილებისა და გამოვლენის საშუალება. ამხილა და გამოავლინა სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს უფროსმა დათო ქავთარაძემ რაღაც-რაღაცები და გამოაგდეს კაცი სამსახურიდან, როდესაც დაერია ასეთ უსამართლობას.

— ნატურალური რძის ამოცნობის უამრავი საშუალებაა, მაგრამ ყველაზე მარტივად როგორ უნდა დავადგინოთ ფალსიფიკაცია?

— ნატურალური რძის წვეთი რომ დასხათ მაგიდაზე, ეს წვეთი მრგვალი ხდება და აღარ იშლება, შეიძლება შედედდეს კიდეც. ანუ, რომ დაასხამ რძეს, სითხესავით არ უნდა გავიდეს, წყალივით არ უნდა გაიშალოს მაგიდაზე. დილის ცვარი ხომ გინახავთ მწვანე ბალახზე, ზუსტად ანალოგიურია ნატურალური რძეც. თუ იგი გაიხსნა და ცვარისმაგვარი ფორმა არ მიიღო, ე.ი. წყალგარეულია.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჯერ ცხარე ჭამეთ...

ცხარე საჭმელი ქალების თვალში მამაკაცების მიმზიდველობას ზრდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გემოსთან დაკავშირებული შეგრძნებები აზროვნებაზე ზემოქმედებენ.

იმის გამო, რომ სიტყვები „ცხარე“ და „ცხელი“ ადამიანთა უმრავლესობაში სექსუალობასთან და ფიზიკურ მიმზიდველობასთან ასოცირდება, ცხარე საკვების მიღების შემდეგ რომანტიკული ურთიერთობებით დაინტერესება გაცილებით მატულობს.

კოქტეილი... არყის წინააღმდეგ

სტერბურგელმა მეცნიერებმა სასმელი შექმნეს, რომელიც სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილების მოთოკვაში დაგვეხმარება.

მისი მთავარი მოქმედი კომპონენტია სამხრეთაფრიკული კაქტუსის Hoodia gordonii-ს ექსტრაქტი, რომელსაც ჰორმონ გრელინის გამომუშავების დათრგუნვა შეუძლია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იგი ალკოჰოლზე დამოკიდებულების განვითარების პასუხისმგებელი ნეირონების გამომუშავების სტიმულატორია. მკვლევარები განმარტავენ, რომ სასმლის მიღების ფორმა ალკოჰოლისადმი დამოკიდებულების დასაძლევად ყველაზე მოსახერხებელია, თანაც კოქტეილს სასიამოვნო გემო და არომატი აქვს.

საფრთხის „სიმჟავე“

მჟავე სასმელები ადამიანებში სარისკო მოქმედებებს პროვოცირებენ.

სოციოლოგებმა შეამჩნიეს, რომ მოხალისეები, რომლებიც ექსპერიმენტის დროს მჟავე სასმელებს მიირთმევდნენ, აზარტულ თამაშებს უფრო დიდხანს თამაშობდნენ, რისკიან ფსონებს კი 40 პროცენტით სხვებზე ხშირად ჩადიოდნენ. ამ გარემოებას მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ადამიანების უმეტესობაში მჟავე გემო საფრთხესთან ასოცირდება.

◎ ლეგიონერი

პროფესია – სნაიპერი

ტრავმის შემდეგ შედეგიანად დაუბრუნდა მოედანს ვილი ისიანი, რომელსაც „დეტროიტ ტიტანსის“ შემადგენლობაში ამერიკის სტუდენტურ ლიგაში დებიუტი 5 იანვარს ჰქონდა და სწორედ იმ მატჩში მიღებული ტრავმის გამო მომდევნო 2 შეხვედრა გამოტოვა. შეგახსენებთ, რომ სადებიუტო მატჩში ვილიმ 11 წუთში 9 ქულა ჩააგდო.

გასულ მატჩში კი ისიანი მოედანს დაუბრუნდა და 15 წუთში 12 ქულა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც სადებიუტო შეხვედრაში, ვილიმ ამჯერადაც მხოლოდ სამქულიანებით შეაგროვა მონაგარი. „დეტროიტმა“ „ოკლენდ გრიზლიზს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 73:79 დამარცხდა. ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო და მოედანზე 15 წუთით გამოჩნდა. ამ დროში ვილიმ 9-დან 4 სამქულიანი ჩააგდო და 12 ქულას 2 მოხსნაც მიამატა. მატჩის შემდგომ ინტერვიუში დეტროიტელთა მწვრთნელმა ქართველი ლეგიონერის კარგი თამაში გამოარჩია.

ისიანის გუნდს 10-გუნდიან „ჰორაიზონის“ კონფერენციაში 5 მოგების წილ 2 მარცხი აქვს და 2-3 ადგილებს „ოკლენდთან“ იყოფს. მომდევნო მატჩს დეტროიტელები ჩიკაგოში ილინოისის საუნივერსიტეტო გუნდ „ფლეიმზთან“ 25 იანვარს გამართავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო მინსკის საერთაშორისო ტურნირი. პირველ მატჩში ზურაბ ხიზანიშვილის შეგირდებმა 3:0 დაამარცხეს ისლანდია და ჯგუფში გალიდერდნენ. ჩვენი გუნდიდან გოლებით ლუკა ტორონჯაძე, გიორგი აბუაშვილი და ირაკლი აზაროვი გამოირჩნენ. აღსანიშნავია, რომ აბუაშვილმა გატანილი ბურთის გარდა ორი საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხარატიშვილი, ერაძე, კოკაია, ხვადაგიანი, ტალახაძე, ოსიყმაშვილი, მორჩილაძე, აზაროვი, აბუაშვილი, ზურაბიანი, ტორონჯაძე. შეცვლაზე შევიდნენ კვარაცხელია, ბენდიანიშვილი, ფოცხვერია და გაგნიძე.

მომდევნო მატჩს ჩვენი გუნდი დღეს ისრაელის წინააღმდეგ ჩაატარებს.

* * *

თბილისის „დინამო“ აწ უკვე ყოფილი მცველი ლაშა თოთაძე კარიერას ირანში გააგრძელებს. 30 წლის ფეხბურთელი ამიერიდან „ნასაჯი მაზანდარანის“ ღირსებას დაიცავს, რომლის რიგებში კიდევ ერთი ჩვენებური ირიცხება – გიორგი გველესიანი.

„ძალიან მიმძიმს ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ცხოვრებაში დგება ასეთი მომენტიც. დიდი მადლობა მინდა

გადავუხადო გუნდის პრეზიდენტს რომან ფიფიას, ყველა იმ მწვრთნელსა და სტაფს, ვისთანაც აქ მიმუშავია. ასევე კლუბის ყველა თანამშრომელს, სამედიცინო სტაფს, ადმინისტრატორებს, პრესსამსახურს, სამზარეულოს პერსონალს, დასუფთავების სამსახურს, მინდვრის მომვლელებს და უსაფრთხოების სამსახურს. მინდა ვთქვა, რომ ეს ხალხი დიდი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს ამ დიდ კლუბში. დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივარს. მათგან ყოველთვის ვგრძნობდი გვერდში დგომას. მადლობა ჩვენს დიდ ოჯახს, უშუალოდ გუნდის თითოეულ ფეხბურთელს. „დინამო“ იყო და იქნება ჩემს გულში“ – ციტირებს თოთაძის სიტყვებს „დინამოს“ ვებ-გვერდი.

თოთაძეს „დინამოში“ სამი სეზონი აქვს გატარებული (2014-2015, 2017-2019), იქამდე კი არაერთ გუნდში უთამაშია, მათ შორის არიან „დილა“, „სიონი“, „საბურთალო“, „გაგრა“, ბათუმის „დინამო“, უნგრული „დიორი“ და კიევის „დინამო“.

* * *

ესპანეთის ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩში „ბარსელონამ“ „ლეგანესი“ 3:1 დაამარცხა. „ბარსას“ მეორე გოლი ურუგვაელი შემტევის ლუის სუარესის ანგარიშზეა.

სუარესს კატალონიელთა მაისურით სულ 167 გოლი დაუგროვდა, რითაც კლუბის საუკეთესო ხუთ მეგოლეს შორისაა:

1. ლიონელ მესი – 576 გოლი,
2. სეზარი – 232,
3. კაბალა – 194,
4. სამიტერი – 184,
5. ლუის სუარესი – 167, ესკოლა – 167.

* * *

უეფას ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფები ახალი დიზაინის ბურთით გაიმართება. უეფას პრესსამსახურმა განახლებული ბურთი უკვე წარუდგინა ფართო საზოგადოებას.

„ადიდასის“ ახალი ბურთი თეთრი, წითელი და ყვითელი ფერებისგან შედგება, ჯგუფურ ეტაპზე კი ძირითადად ლურჯი ფერი სჭარბობდა.

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშება 12 თებერვალს „მანჩესტერი“ – პსჟ-სა და „რომა“ – „პორტუს“ მატჩებით განახლდება. ფინალი კი 1 ივნისს მადრიდში, „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ შედგება.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მედიცინა – ინგლისურად

საქართველოს რაგბის კავშირის ორგანიზებით „სპორტული მედიცინის კლინიკაში“ ტვინის შერყევის პრევენციის მიზნით კვლევები მიმდინარეობს, რომელსაც ინგლისელი სპეციალისტი ტეო ფარლი ხელმძღვანელობს.

ფარლი უფროსი ფიზიოთერაპევტია და ლონდონის უნივერსიტეტში, ინგლისურ სპორტულ ინსტიტუტში მოღვაწეობს. ის აქტიურად თანამშრომლობს ინგლისურ კლუბებთან და საქართველო პირველია, რომელმაც მის მიერ სპეციალურად შემუშავებული პროგრამა ქართულ ენაზე თარგმნა და მას დიდი 10-ის მოთამაშეებისთვის იყენებს.

„ტესტირების პირველი ეტაპი ზაფხულში, სეზონის დაწყებამდე ჩატარდა, ახლა მეორე ეტაპი მიმდინარეობს, მესამე ეტაპი კი დიდი 10-ის სეზონის დასრულების შემდეგ გვექნება. კვლევა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს და ამ ყველაფრის შეჯამებით მივიღებთ სურათს, რა იწვევს ტვინის შერყევას და მოვახდენთ მის პრევენციას. ასეთი მონიტორინგი მნიშვნელოვანია მოთამაშეთა კეთილდღეობისთვის და მოხარული ვარ, რომ მისი საქართველოში ჩატარების შესაძლებლობა გვეძლევა“ – ამბობს საქართველოს რაგბის კავშირის მოთამაშეთა კეთილდღეობის მენეჯერი ნონო ანდღულაძე.

კვლევა სამი მიმართულებით ტარდება. ტეო ფარლის ლონდონის უნივერსიტეტის სპორტული მედიცინის მაგისტრატურის სტუდენტი ჯეკ თოროგუტი, ასევე ოსთეოპათი ედ ბარი ეხმარებიან, რომელიც წლებია, საქართველოში ცხოვრობენ და სპორტული მედიცინის კლინიკაში მოთამაშეებს რეაბილიტაციაში ეხმარებიან. რა თქმა უნდა, პროცესში აქტიურად არიან ჩართული კლინიკის ქართველი სპეციალისტები, რომლებიც მომავალში კვლევას დამოუკიდებლად ჩაატარებენ და პრევენციის ზომებს მიიღებენ.

„რაგბიში ტვინის შერყევა ხშირია და ჩვენი კვლევა რისკების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა იწვევს ტვინის შერყევას, მოვახდინოთ იდენტიფიკაცია და ამის საშუალებით შევძლებთ რისკების შემცირებას. მოხარული ვარ, რომ ეს პროგრამა ქართულად ითარგმნა, აქ ვიმყოფები და საქართველოს რაგბის კავშირთან ვთანამშრომლობ“ – გვიყვება პროგრამის შესახებ ტეო ფარლი.

კვლევის თითოეულ ეტაპზე მოთამაშეებს სამი ტიპის ტესტირება უტარდებათ: ლაზერული მოწყობილობის საშუალებით ორიენტაციაზე; კისრის კუნთების სიძლიერეზე და მათ გავლენაზე; თვალის სავარჯიშოს მეშვეობით აღქმის სიჩქარეზე, ყურადღებასა და სისწრაფეზე. კვლევის შედეგები მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი და საჭიროების შემთხვევაში კისრის კუნთების გამაგრებისთვის სპეციალური ვარჯიშების ჩატარებაზე ისინი გასცემენ რეკომენდაციას. ეს შედეგები ინახება და თუ მისი მონაწილე რომელიმე მოთამაშე ტვინის შერყევას მიიღებს, ანალოგიური კვლევის პასუხების შედარებით დადგინდება ამ დაზიანების გამომწვევი მიზეზები და სამომავლოდ მათი პრევენცია მოხდება.

„ვთვლი, რომ ტვინის შერყევა ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო რაგბიში. არაერთი ნიჭიერი, დიდი პერსპექტივის მქონე მორაგბე მინახავს, რომლის ზრდა სწორედ ტვინის შერყევის გამო შეფერხებულა, ან სულაც კარიერის დასრულების მიზეზი გამხდარა. ეს კვლევა დაგვეხმარება ამ პრობლემის მიზეზების დადგენაში და სამომავლოდ, მათ პრევენციაში“ – ამბობს ედ ბარი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

კარდაშიანი პორნოვარსკვლავის წინააღმდეგ!

ჩვენ უკვე რამდენჯერმე დავწერეთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ არაერთხელ ვისაუბრებთ ეპატაჟურობით განთქმულ ამერიკელ მკერდზანზარა ლამაზმან კიმ კარდაშიანზე. მით უმეტეს, რომ კიმის ცხოვრება რაღაცნაირად მაინც გადაჯაჭვულია სპორტთან და ეს მხოლოდ მისი კალათბურთელი ყოფილი ქმრის კრის ჰემფრისის გამო არ ხდება.

როგორც იცით, ამ ცოტა ხნის წინათ, ბრიტანეთში მოღვაწე ყოფილმა პორნოვარსკვლავმა მია ხალიფამ განაცხადა, ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია და საფეხბურთო კლუბ „ვესტს ჰემს“ ენაცვალოს ჩემი მრავლისმნახველი ტან-ფეხიო. ეს ამბავი, როგორც ჩანს, კიმ კარდაშიანმა სათავისოდ გაიგო და ახალი სკანდალური განცხადების „გამოცხობაც“ არ დაუყოვნა.

კიმ კარდაშიანი ამბობს, რომ, როდესაც მია ხალიფა ათასი ჯურის მამრებს ნებდებოდა (ვითომ თვითონ იმ დროს ბებოს ბოსტანში მუშაობდა), იგი სერიოზულად იყო დაინტერესებული, საფეხბურთო კლუბ „ლივერპულში“ ფული დაებანდებინა. სომხური ფესვების მქონე კარდაშიანი აცხადებს, რომ ფეხბურთი ბევრ ცნობილ ქალზე მეტად უყვარს და სასაცილოდ არ ყოფნის მავანთა (ცხადია, მია ხალიფას გულისხმობს) ახლანდელი გამოხდომები.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ კარდაშიანის შეტევას უბრალოდ არც მია ხალიფა დახვდება და გართობის მოყვარულთ წინ დიდი სიამე გველის. თან რა ჯობია, როდესაც ერთურთს ასეთი თვალსაამო და ფერხორციანი ქალები ეპაექრებიან...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ წინ წყალი – უკან მეწყერი...

წყლის ტემპერატურა ოკეანეებში სწრაფად მატულობს!

რა საფრთხეებს წინასწარმეტყველებენ მეცნიერები

მეცნიერების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ წყლის ტემპერატურა მსოფლიოს ზღვებსა თუ ოკეანეებში სწრაფად მატულობს, რაც ადამიანის ბუნებაზე მავნე ზემოქმედებით აიხსნება.

ჟურნალ Science-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, 60-იანი წლების შემდეგ ოკეანეების წყლის ტემპერატურამ საგრძნობლად იმატა, ხოლო 2019 წელი მათი ვარაუდით, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე თბილი წელი იქნება ოკეანეებისთის.

რა შეიძლება მოჰყვეს ამ მოვლენას? – უპირველესად, ეს არის ზღვის დონის აწევა. კვლევაში ნათქვამია, რომ, როდესაც წყალი თბება, ის მოცულობაში იმატებს, შესაბამისად, იწევს ზღვის დონეც. მხოლოდ ამ ფაქტორის გამო დაახლოებით 50 წლის შემდეგ შეიძლება ზღვის დონემ 30 სმ-ით მოიმატოს. ერთი შეხედვით, ეს არცთუ ისე დიდი სიდიდეა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მსოფლიოს უამრავი დიდი ქალაქი სწორედ სანაპიროზე, მელიორირებულ მიწებზეა გაშენებული, რომლებიც ხშირად ამ და კიდევ უფრო ნაკლებ სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან.

ამასთან ერთად, ოკეანეების დათბობა იწვევს პოლარული ყინულოვანი საფარის სწრაფ დნობასაც, რამაც, შესაძლოა, ზღვის დონის კიდევ უფრო მეტი სიმაღლით აწევა გამოიწვიოს. შესაბამისად, მეცნიერები არ გამორიცხავენ 2100 წლისთვის ზღვის დონის 1 მეტრით მომატებასაც. ეს პრობლემა უკვე დგას ამერიკის კონტინენტზე და მომავალი 30 წლის განმავლობაში შესაძლოა 300 00-მდე სახლი დაიტბოროს ამ კონტინენტზე.

ოკეანეების გათბობა ტროპიკულ ქარიშხლებს უფრო ინტენსიურს, ძლიერსა და ხანგრძლივს გახდის. წყლის ტემპერატურის მატება იწვევს მის უფრო დიდი რაოდენობით აორთქლებას, რაც კლიმატს უფრო ნოტიოს ხდის. იმატებს ნალექების რაოდენობაც, ხოლო დედამიწაზე სხვადასხვა ადგილას კლიმატი მშრალი იქნება.

ტემპერატურის ზრდა საფრთხეს უქმნის წყლის ბინადართაც. მაგალითად, 2016-2017 წლებში დიდ ბარიერულ რიფზე არსებული მარჯნის პოპულაციის ნახევარი განადგურდა ორი თბილი ოკეანის ტალღის მიერ. გართულდება თევზების ცხოვრებაც და ბევრი მათგანი, შესაძლოა, გადაშენდეს კიდევაც, რაც, თავის მხრივ, ტროპიკულ ქვეყნებში საკვების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს.

ოკეანეების დათბობა აისახება დედამიწის პოლარულ სივრცეებში არსებულ ცხოველთა სამყაროზეც, როგორიცაა თეთრი დათვები, სელაპები, ზღვის ლომები და სხვა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ბევრი სახეობა საერთოდ დაიკარგოს კიდევაც.

ყოველივე ეს ფაქტორები გვაძლევენ იმის დაბეჯითებით მტკიცების საშუალებას, რომ ადამიანებმა მკაცრი კონტროლი უნდა გაუწიონ ეკოსისტემას და შეწყვიტონ ან მინიმუმადე დაიყვანონ მასზე მავნე ზემოქმედება.

FOR.GE

ტერორისტების თავდასხმას გაეროს ათი მშვიდობისმყოფელი ემსხვერპლა

გაეროს ათი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა მალიში ტერორისტების მიერ გაეროს ბანაკზე თავდასხმის შედეგად. დაჭრილია კიდევ 25 ჯარისკაცი. ინფორმაცია ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა გაავრცელა. ანტონიო გუტიერეშმა დაგმო ტერორისტების მიერ განხორციელებული ეს შეტევა და მას მალიში სიტუაციის სტაბილიზაციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

გუტიერეშის თქმით, შეტევის დროს ასევე დაიღუპა რამდენიმე თავდამსხმელიც. დაღუპული მშვიდობისმყოფელი ჩადის მოქალაქეები იყვნენ.

ლენინის მუმიის დამარხვა რუსეთში პროტესტებს გამოიწვევს



რუსეთის პრეზიდენტის საბჭოს მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხში ალექსანდრ ბროდი მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, რომ ვლადიმერ ლენინის მუმია დამარხონ. ის თვლის, რომ ეს ადამიანური და რუსეთისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა, სავარაუდოდ, ეს დიდ საპროტესტო ტალღას გამოიწვევს.

„ვთვლი, რომ ახლა ეს ნაბიჯი სერიოზულ საპროტესტო განწყობებს შექმნის ქვეყანაში, რადგან არსებობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც მარქსიზმისა და კომუნიზმის იდეალებზეა გაზრდილი, მათთვის ლენინის ფიგურა წმიდათაწმიდაა, საზოგადოება ახლა ისედაც დაძაბულია. რუსეთის მოსახლეობა ჯერ არ არის მზად ამ ნაბიჯისთვის,“ – ამბობს ბროდი. შეგახსენებთ, 21 იანვარს, რევოლუციის ბელადის სიკვდილიდან 95 წელი შესრულდა. თავად მას სურდა, რომ დედის გვერდით დაეკრძალათ, თუმცა კომპარტიის გადაწყვეტილებით მისგან მუმია გააკეთეს და დღემდე დაუმარხავია.

ირანი ისრაელს „დედამიწიდან გაქრობით“ ემუქრება

ისრაელის თავდაცვის ძალების განცხადებით, მათ სირიის დედაქალაქ დამასკოსთან მდებარე ირანის სამხედრო ბაზა „ალ-კუდსი“ დაბომბეს. მათ სამიზნეს ირანის რევოლუციური გვარდიის პოზიციები და სირიის საჰაერო თავდაცვის ობიექტები წარმოადგენდა.

ბრიტანეთში დისლოცირებული სირიის მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, დაღუპულია სულ მცირე 11 ადამიანი, რომელთა შორის ყველა სამხედრო მოსამსახურეა. რუსები აცხადებენ, რომ დაიღუპა სულ 4 ადამიანი. მათივე ინფორმაციით, ავიადარტყმის შედეგად განადგურდა იარაღის საწყობები და სხვა სამხედრო ობიექტები.

ისრაელის ეს ნაბიჯი ირანის შეიარაღებული ძალების ნაწილების მიერ სირიიდან გოლანის მაღლობის მიმართულებით რაკეტის გასროლას მოჰყვა, რომელიც ისრაელის ანტისარაკეტო სისტემამ ჩამოაგდო.

ისრაელი აცხადებს, რომ არ დაუშვებს სირიაში ირანმა თავისი სამხედრო პლაცდარმი შექმნას. ირანის საჰაერო ძალების ხელმძღვანელმა, გენერალმა აზიზ ნასირაზადემ თქვა, რომ ისრაელის სარაკეტო თავდასხმის საპასუხოდ ქვეყნის შეიარაღებული ძალები მზად არიან, ებრძოლონ ისრაელის სიონისტურ რეჟიმს და „დედამიწიდან გააქრონ“ ის.

ჟურნალისტი ლევან ჩხაიძე გარდაიცვალა

„TV პირველის“ წამყვანი და ჟურნალისტი ლევან ჩხაიძე გარდაიცვალა. ტელეწამყვანი ბუდაპეშტის ერთ-ერთ სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს, სადაც ის მეგობრებთან ერთად დასასვენებლად იმყოფებოდა.

წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზად თრომბი სახელდება.

იტალიაში ქართველი ემიგრანტი საწოლში გარდაცვლილი იპოვეს

იტალიაში ქართველი ემიგრანტი ლელა ჭაბაშვილი საწოლში გარდაცვლილი იტალიელმა ოჯახმა იპოვა, – ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში შოთო სიხარულიძემ გაავრცელა. „ინფარქტი მოსვლია იტალიის ქალაქ პრატოში. ლელა ჭაბაშვილს მეუღლე და ერთი შვილი დარჩა“, – წერს სიხარულძე.

ლელა ჭაბაშვილი 10 წელი იყო ემიგრაციაში. გარდაცვლილის მეუღლე და შვილი საქართველოში ცხოვრობენ.

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსი სამხედროები დაიღუპნენ

ოკუპირებულ აფხაზეთში სამი რუსი სამხედრო დაიღუპა. სამხედრო ავტომობილი, რომელიც წებელდის სამხედრო პოლიგონისკენ საბრძოლო ტექნიკის კოლონასთან ერთად მიემართებოდა, ხევში გადავარდა.

გავრცელებული ცნობით, სამი ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ორი დაშავდა. ისინი საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს. ერთ-ერთი ვერსიით, უბედური შემთხვევა სამხედრო ავტომობილის ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოწვია.

ჭორვილამ, ზუგდიდმა და კახეთმა გაიმარჯვეს

პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის – „სუფთა რეგიონის“ შედეგების თანახმად, ნომინაციაში „სუფთა სოფელი“ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელმა ჭორვილამ გაიმარჯვა. კონკურსი გამოცხადებული იყო ორგანიზაციის – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ ორგანიზებითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით.

კონკურსის შედეგებით, ყველაზე სუფთა რეგიონად – კახეთი (ნომინაცია „სუფთა რეგიონი“), ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტად – ზუგდიდი (ნომინაცია „სუფთა მუნიციპალიტეტი“), ხოლო ყველაზე სუფთა ქალაქად ზუგდიდი (ნომინაცია „სუფთა ქალაქი“) დასახელდა. **გამოვლინდნენ ასევე გამარჯვებულები ნომინაციებში: „ლამაზი აივანი“, „ლამაზი ეზო“, „კორპუსის ეზო“ და „იურიდიული პირის ეზო“.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულები, შემოსული ფოტოვიდეომასალების საფუძველზე, გამოავლინა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან, ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით. პირველი ასეთი კონკურსი 2015 წელს გაიმართა.

◎ სადღეისო სათრეველა

ბინძური უვიცობა

არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ ქუთაისის მერმა მიიპატიჟა არა აწგანსვენებული დიდი ქართველი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, როგორც ამას ზოგიერთი ჩასაფრებული უვიცი წერდა, არამედ მისი მეუღლე, ქალბატონი მარინე და ვაჟი, თავადაც მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე, „ვანოს შოუ“ კი კვლავ გაქირზეა და გასულ პარასკევსაც ქილიკობდა, გიორგი ჭიღვარიამ წლების წინათ გარდაცვლილი დაპატიჟაო.

ქილიკისთვის როცა ზრუნავს,
დააჭენებს ჭორით ჰუნეს,
მამა ზურაბს, მის შვილ ზურაბს
ერთმანეთში თუ აურევს,
სულ იოლად შეიცნობა:
„ვანოს შოუ“ ის ზღვარია,
თავის ბინძურ უვიცობას
რომ აბრალებს ჭიღვარიას...
მხოლოდ ანჯაფარიძეებს?
ვინ თქვა, რომ სხვებს არ იძევენ?
რჩება რაღაც დიუმები,
საშაყიროდ დიუმების,
ოღონდ ვინმეს, სანაწეროდ
ჭორი მასზეც უნდა წერონ...
მსგავსი ბევრი მოსდევს „ტრანში“
„რუსთავ-ორის“ სხვა „ნიავსაც“,
რადგან უყვართ ფუყე ტაში
ნიკასა და ვანიასა,
ყველა გუნდს და ყველა დასსა,
ვინც ზნეობა დაბლა დასცა,
სიტყვით დაუღვინებელით,
კადრში დედის გინებითა!

ალექსანდრე შენგელია

„სისხლიანი სუპერ მთვარე“

მსოფლიოს მოსახლეობის ნაწილი მთვარის სრული დაბნელების მოწმე გახდა. სავსე მთვარეობა გრინვიჩის დროით 02:35 დაიწყო და 07:49-ზე დასრულდა, მთვარის სრული დაბნელება კი 05:12 მოხდა.

მთვარის სრული დაბნელების ნახვა შესაძლებელი იყო დიდ ბრიტანეთში, რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთში, პორტუგალიაში, დასავლეთ აფრიკის ნაწილში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში.

ეს მოვლენა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, როდესაც სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება ერთმანეთს ემთხვევა. დედამიწა მოექცევა მზეს და მთვარეს შორის. ჩვენი პლანეტის ჩრდილი კი მთვარეზე წითლად გამოჩნდება, სწორედ აქედან მომინარეობს ამ მოვლენის სახელწოდებაც „სისხლიანი მთვარე“. ამასთავე მთვარე თავის ორბიტის იმ ნაწილში მოექცევა, სადაც ის დედამიწასთან ყველაზე ახლოსაა, ამიტომაც დედამიწელებს ის გაცილებით დიდი ზომის სუპერმთვარედ მოეჩვენებათ.

მილიარდერების რაოდენობა გაორმაგდა

2018 წელში მილიარდერების რიცხვი მსოფლიოში 2208-ადამიანამდე გაიზარდა. ბოლო ათწლეულში მათი რაოდენობა გაორმაგებულია. ამის შესახებ საუბარია ორგანიზაცია Oxfam-ის ანგარიშში, რომელიც დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წინ მომზადდა.

მთელი წლის განმავლობაში მილიარდერების საერთო სიმდიდრე 12%-ით (900 მლრდ დოლარი) გაიზარდა. როგორც ანგარიშშია ნათქვამი მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული კიდევ უფრო იზრდება, ღარიბი მოსახლეობის ქონების რაოდენობა იმდენივეა რაც 26 უმდიდრესი ადამიანის.

ადამიანის დღემდე უცნობი წინაპარი

ათეული ათასი წლის წინ დედამიწაზე ცხოვრობდა მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი ადამიანისმაგვარი პრიმატი, რომელიც აქტიურად ჯვარდებოდა ჩვენთვის ცნობილ ადამიანთა წინაპრებთან. ეს სენსაციური აღმოჩენა ხელოვნურმა ინტელექტმა გააკეთა, მას შემდეგ, რაც მან აზიის ქვეყნებიდან აღებული, მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ მიწოდებული დნმ-ის სტრუქტურა გააანალიზა.



დნმ-ის თანახმად, აღნიშნული გადაშენებული სახეობა სავარაუდოდ ნეანდერტალელებისა და დენისელი ადამიანის ნაჯვარს წარმოადგენს. პრინციპი, რომლითაც ბიოლოგები სახეობებს შორის ზღვარს ავლებენ, მარტივია. ახლო მდგომ სახეობებს შეუძლიათ შეჯვარება, მაგრამ მათ, როგორც წესი, შთამომავლობის დატოვება არ შეუძლიათ. ამის მაგალითია ჯორი — ცხენისა და ვირის ნაჯვარი. თუმცა, გადაშენებული სახეობების შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. მაგალითად, ადამიანის დნმ-ი ამტკიცებს, რომ ჩვენი წინაპრები, რომლებიც აფრიკიდან წამოვიდნენ, მრავალჯერ შეჯვარდნენ ნეანდერტალელებთან და დენისელ ადამიანებთან, რომლებიც 40 000 წლის წინ ევრაზიის კონტინენტზე ცხოვრობდნენ.

ამჯერად, მეცნიერების მიერ შექმნილმა ალგორითმმა აღმოაჩინა კიდევ ერთი ნათესაური სახეობა, რომელმაც აზიის კონტინენტის მცხოვრებლების გენომზე დატოვა თავისი კვალი.

ეს აღმოჩენა ხსნის გასული წლის ზაფხულში დენისის მღვიმეში ნაპოვნი ჩონჩხის წარმომავლობას, რომელმაც თავიდან მეცნიერები დააბნია. ამ პრიმატის დედა იყო ნეანდერტალელი, ხოლო მამა — დენისელი ადამიანი. ცხადი გახდა, რომ ეს არ იყო უნიკალური შემთხვევა, არამედ ფართოდ გავრცელებული მოვლენა, რომელმაც თავისი კვალი დატოვა აზიელების დნმ-ში. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ძველ ადამიანს ჰყავდა შთამომავლობა დღემდე უცნობი პრიმატისაგან.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-56-81-86; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6629; ევრო - 3.0368;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4463
100 რუბლი - 4.0103; თურქული ლირა - 0.4974;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5708;
1000 სომხური დრამი - 5.4950.

ამინდი 22 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-7,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge